

ქვეყნის მომავალი

X V.

მოგვალ-კვირული გაზეთი.

X V.

№ 19

კვირა, 5 მაისი 1902 წლისა.

№ 19

გაზეთის ფასი: ერთი წლით თეილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ.; თეილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სპი თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.
ხელის-მოწერა მიიღება: თეილისში—„წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების“ კანცელარიაში და „კვალის“ რედაქციაში, ბარონის ქუჩაზე, № 27.
ტელეფონი № 734.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакция „КВАЛИ“.

შინაარსი: მეკნიერეპი, ჩარლზ დარვინი, X.სი.—საუბარი სხვა და სხვა საგნებზე, მოსაუბრისა.—სხვა-და-სხვა ამბები.—კორესპონდენციები — ქუთაისის გუბერნიის თავ-აზნ. არა-ჩვეულებრივი კრება, Porole-სი.— შაქროს აღსარება, ე-ძისა.—საზღვარ-გარეთ.—პარიზის უნივერსიტეტი, ა გაბუნიასი.—რუსეთის ცხოვრება.—თავისუფლება ნებისა, თუ აუცილებლობა, ი. გომარაულისა.—წერილი რედაქციის მიმართ.—განცხადებანი.


„**კვალის**“ რედაქცია გადავიდა ბარონის ქუჩაზე, სახლი № 27, ბან პარტირუსოვის შენობაში.

მეცნიერები.

პ. ჩარლზ დარვინი.

გასულ საუკუნის ნახევრიდან გამეფებულია ორი ძლიერი თეორია, ძლიერი, როგორც თავისი მეცნიერული ხასიათით, აგრეთვე პრაქტიკული მნიშვნელობით. ორივე ეს თეორია განდა კაცობრიობის უფრო ცოცხალი და გატაცებული ნაწილის ლამპარათ. ერთი მათგანი შეეხება საზოგადოებრივ მოვლენებს, ხოლო მეორე ბუნებისმეტყველებას. ეს მეორე არის დარვინიზმი. ვის არ გაუგონია დარვინი? სწავლულსაც და უსწავლულსაც ენაზე აკრავს მისი სახელი. ერთი მიაი თაკვანი მცემელია, ხოლო მეორე მაში ხედავს რაღაც ბოროტ სულს, რომელსაც მოუწადინებია კაცობრიობის დამცირება და გათახსირება. ერთისთვის ის მაჩვენებელია კონებრივი განვითარების გზისა, ხოლო მეორესთვის ის არის მოსისხარი მტერი, რომელსაც მოუწადინებია დარღვიოს მისი მყუდროება და მოუშალოს უდარდელათ ცხოვრება. სწორეთ ეს მოვიღენა, სწორეთ ასეთი ფიცი მოპყრობა, ერთი მხრივ კომუტქმელი პატივისცემა და დასკვნა ხანგრძლივი განვითარების. ხოლო ამ განვითარებას

გატაცება, ხოლო მეორე მხრით გაცხარებული ბრძოლა, ამტკიცებს, რომ დარვინის სახელთან შეკავშირებულია რაღაც მძლავრი აზრი, მძლავრი პრინციპი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც თეორიულათ, ისე პრაქტიკულათაც. დარვინის თეორია, ანუ დარვინიზმი, არის მეთოდი, კვლევის ხერხი, რომელიც დღეს ერთნაირათ სავალდებულოა, როგორც ბუნებისმეტყველისთვის, ისე ისტორიკოსისათვის, იურისტისთვის და მოჩალისთვის. არც ერთი დარვი ადამიანის გონებრივი მიმდინარეობისა არ დარჩენილა დარვინიზმის გავლენის გარეშე.



ჩარლზ დარვინი.


ცხადია, ის კაცი, რომლის სახელთან შეკავშირებულია ასეთი მძლავრი გონებრივი მიმდინარეობა, იყო გამოჩენილი ადამიანი, გამოჩენილი თავისი ნიჭით და შემოქმედებითი ძალის სიძლიერით, ის იყო გენოსი. დიდებული ადამიანი შემთხვევით კი არ ჩდება, მძლავრი აზრუეცრათ კი არ იზადება. პირველსაც და მეორესაც აქვს თავისი მიზეზი. დიდებული ადამიანი არის შედეგი მემკვიდრეობითი ძალის, ის არის

აქვს ორი მხარე: ერთი ფიზიკური და მეორე გონებრივი. ფიზიკური მხარე შეეხება მის პირდაპირ წინაპრებს. ხოლო გონებრივი იმ ისტორიულ განვითარებას, იმ ცოდნას, რომელმაც მას მოუშინა ნადაგი და შეძლება მისი გამოეთქვა თავისი აზრები. დარვინის ცხოვრება სავსებით გვიმტკიცებს ამ აზრს. განვიხილოთ ჯერ მხოლოდ ფიზიკური მხარე. დარვინის გვარეულობაში თანასთან ოთხი თაობა მიიღტვის ერთ დაიმავე მიზნისკენ. ოთხივე თაობას აზის ერთი და იგივე გონებრივი მიმდინარეობის ბეჭედი. ჩარლზ დარვინის პაპის მამა, რომბერტ დარვინი, იყო ბუნებისმეტყველი, გეოლოგი, მის ოთხ შვილში, ორი გამოვიდა მწერალი და ბოტანიკი. ამ ორში უფრო ნიჭიერი და ცნობილია ერწამ დარვინი, პაპა ჩვენი მეცნიერის. ერწამმა ლექსათ დაწერა თხზულება: „ზოონომია“, სადაც გამოთქმულია არა ერთი აზრი ცხოველთა განვითარების შესახებ. დარვინის მამა იყო ექიმი და იმდენათ დაწინაურებული თავის ხელოვნებაში და განსწავლული, რომ ის აირჩიეს ინგლისის მეცნიერულ საზოგადოების წევრათ. ჩარლზი თავის მამაზე ამბობს: „ის იყო ყველაზე უფრო გონება მხვლილი დაკვირვებაში, ვისაც კი მე ვიცნობდი“. გარდა ამისა ორი ბიძაშვილი დარვინის იყო გამოჩენილი მეცნიერი. ერთი — ჰენრი ვეჯვუდი — ფილოლოგი, ხოლო მეორე — ფრენსის გალტონი, რომელმაც დაწერა „ტალანტის მემკვიდრეობითი გადაცემა“, სადაც ჩვენ ვხედავთ ევოლუციონური პრინციპის გამოყენებას ნიჭიერების ახსნაში. ამ ნაირათ მამის მხრივ დარვინს წინ უძღვის რამდენიმე გამოჩენილი წინაპარი, რომელნიც მუდამ მეცნიერულათ ვარჯიშობენ. აქ გონებრივი ტრადიცია გადადის ერთი თაობიდან მეორეზე. დედიდანაც დარვინს შესანიშნავი წინაპრები ყავდა. მაშ ნათლათ ვხედავთ, რომ ის უზომო ენერჯია, ის დაკვირვებითი ნიჭი, რომელიც დარვინში ასე ძლიერი იყო, არის შედეგი წინაპრების მთელი რიგის განვითარებისა. ახლა უნდა შევეხოთ დარვინის წინაპრებს გონებრივი მხრით. მარა ჯერ გავიგოთ დაახლოვებით დარვინის ვინაობა.

ჩარლზ დარვინი დაიბადა ქ. შრიუსბერში 1809 წ. 12 თებერვალს. სწავლა დაიწყო მშობლურ ქალაქის სკოლაში; აქიდან გადავიდა ედინბურგის უნივერსიტეტში, შემდეგ კემბრიჯისაში. 1831 წ. დეკემბრიდან ის მოგზაურობდა ხომალდ „ბიგლ“-ზე 1836 წლამდე, როგორც ნატურალისტი. გადაიკვალა 19 აპრილს 1882 წ. არც სკოლას, არც უნივერსიტეტს არ ქონებია კეთილი გავლენა დარვინის ნიჭის განვითარებაზე. თვითონ დარვინი ამბობს: „მე ვამჩნევ, რომ მთელი ის ცოდნა, რომელიც ჩემთვის ძვირფასია, შევიძინე დამოუკიდებელი მეცადინეობით“. რადგან დარვინს დედა ადრე მოუკვდა, სულ რვა წლისას, ამიტომ ის მიაბარეს დაწყებით სკოლაში. ამ სკოლის შესახებ ის გადმოგვცემს: „საექვთა, იმაზე უარესი რამ წარმოვიდგინოთ ჩემი გონებრივი განვითარებისათვის“. აქ სწავლებას ქონდა კლასიკური ხასიათი. მათემატიკა და სხვა ნამდვილი ცოდნა აქ არ არსებობდა. უმეტესათ ყურადღებას აქცევდნ ძველ ენებს, დარვინს კი მთელ თავის სიცოცხლეში ხეირიანათ არც ერთი უცხო ენა არ უსწავლია. გარდა ამისა დიდ მნიშვნელობას აძლევდნ ლექსების წერას. დარვინს პოეტური ნიჭის ნატამალიც არ გააჩნდა და შემდეგში საშინლათ ეჯავრებოდა პოეზია. საზოგადოთ სკოლაში ასწავლიდნ იმას, რის ნიჭი დარვინს არ ქონდა, და მაშ ასეთი სწავლება ვერც მაიქცევდა მის ყურადღებას. საერთოთ ამ სკოლიდან დარვინმა გამოიტანა მხოლოდ კლასიკური სისტემის სიძულვილი. „ჩემზე უფრო არავის არ ეზიზღება აღბათ აღზრდის კლასიკური სისტემა“, ამბობდა შემდეგ დარვინი. მარა რაც ვერ მისცა მას სკოლამ, რის დახმობას ლამობდა ის, ეს დარვინმა შეიძინა დამოუკიდებელი მეცადინეობით.

იმას თითქო თან დაყოლილი მისწრაფება ქონდა ბუნებისმეტყველებისადმი. აკროვებდა მცენარეებს, პაწაწაცხოველებს, სადაფებს და სხვ. ერთხელ სკოლის დირექტორმა გაიგო, რომ დარვინი შეელოდა თავის ძმას ქიმიკოსს მოწყობაში, მოიხმო ის და მთელი სკოლის წინაშე სასტიკათ გაკიცხა, როგორ თუ შენ ასე ფუჭე საქმეზე კარგავ დროსო. მამასაც ძალიან გული მოდიოდა შვილზე. ის ნათლათ ხედავდა, რომ დარვინი სკოლაში არაფერს აკეთებდა. ლანძღავდა მას და აყვედრიდა: შენ მარტო ნადირობა, ძაღლები და მხეცები გახსოვსო, შენ შეარცხვენ ჩვენ გვარსო. რა კი სკოლაში არაფერს არ აკეთებდა მამამ გაგზავნა ის ედინბურგის უნივერსიტეტში ექიმობის შესასწავლათ. მარა აქ დარვინი ვერ შეეთვისა სწავლას. მაშინდელი საექიმო მეცნიერება ვერ იზიდავდა მას, და ამავე დროს არ შეეძლო სისხლის დაწახვა. გაიგო თუ არა მამამ, რომ აქაც არაფერი გამოდისო, შეშინდა, ვაი, თუ ჩემი შვილი უბრალო მონადირე გამოვიდესო და წინადადება მისცა მას სასულიერო წოდებისათვის მომზადებულყო. ამ წინადადებას გამო დარვინი გაემგზავრა კემბრიჯში, სადაც დაყო მთელი სამი წელიწადი, აქაც უნივერსიტეტს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. ის წინანდებურათ ნადირობდა და ბუნებას უკვირვებოდა. თუ რამდენათ ძლიერი იყო მასში ბუნების დაკვირვების მისწრაფება, ამას შექცევი მაგალითი გვიჩვენებს. „ერთხელ ხეს შემოვატალე ძველი ქერქი, ამბობს დარვინი, და შევნიშნე ორი იშვიათი ხეჭო. დავიჭირე ერთი, მარა ამავე დროს შევნიშნე მესამე ახალი ჯიშის ხეჭო, რომლის დაკარგვა არაფრისთვის არ მინდოდა. მაშინ ის ხეჭო, რომელიც მარჯვენა ხელში მყავდა, ვიკარი პირში, მარა წარმოვიდგინეთ! იმან გამოუშვა მეტათ საძაგელი და ცხარე სითხე, რომელმაც დამთუთქა ენა. ასე რომ მე იძულებული ვიყავი გამომეფურთხებია ხეჭო და ამ ნაირათ ისიც დავკარგე და მესამეც“. ბუნებისმეტყველების სიყვარულმა დარვინი გააცნო მაშინდელ გამოჩენილ მეცნიერებს, რომელთაც დიდი გავლენა ქონდათ მასზე. 1831 წელს, დარვინმა მიიღო წინადადება გაყოლოდა გემს „ბიგლს“, რომელსაც გზავნიდა მთავრობა სამხრეთ ამერიკის გამოსაკვლევათ. დარვინის მამა წინააღმდეგი იყო ამისა და თავდაპირველათ კიდევ უარი თქვა, რადგანც დარწმუნებული იყო, რომ ამ მოგზაურობის შემდეგ მისი შვილი პასტორობას აღარ მოისურვებდა. მარა ახლობელმა პირებმა უშველეს დარვინს. ამ მოგზაურობას, რომელიც გავრძელდა 5 წელს, დიდი გავლენა ქონდა დარვინის განვითარებაზე. ეს აკვირვებოდა ამერიკის მდიდარ ბუნებას; ამ დაკვირვებაში ბევრი საყურადღებო ფაქტი გადაეშალა მას თვალ წინ.

ეს მოგზაურობა მან აწერა თავის თხზულებაში „მოგზაურობა ხომალდ ბიგლზე“. ამის შემდეგ ის რამდენიმე წელიწადს ცხოვრობდა ლონდონში, სადაც ატარებდა დროს გამოჩენილ მეცნიერთა და სწავლულთა წრეში. მარა ქალაქის ცხოვრება არ შეეფერებოდა მას მოგზაურობით დასუსტებულ ორგანიზმს. ამიტომ 1842 წელს ის გადასახლდა თავის მამულში, დოუნში; აქ მან გაატარა მთელი დანარჩენი სიცოცხლე, ესე იგი 40 ხელიწადი მუდმივ და წყნარ შრომაში, რომელიც მშვენიერათ დაახსიათა მანვე: „მე მეტათ წყნარათ და ბედნიერათ ვცხოვრობ და ნელა, მარა მუდმივათ მივჩიოჩავ წინ თავის შრომაში“. საზოგადოთ დარვინის ცხოვრება ერთფეროვანი იყო, მისი ბიოგრაფია, — ეს მისი თხზულებების ისტორიაა. თუ მისი ცხოვრება არ იყო შესამჩნევი მკერალა, გმირულ ფაქტებით, სამაგიეროთ იმას აბრწყინებს ისეთი თვისება, რომელიც იშვიათია ადამიანთა შორის. ესაა მისი ხასიათი. სულ ყველა მეცნიერი, ვინც კი შეჩება დარვინის ცხოვრებას და მოღვაწეობას, იმ აზრისაა, რომ მისი მოძღვრების გამარჯვე-



ბას გარდა მეცნიერულ ღირსებისა დიდათ შეუწყო ხელი მისმა ხასიათმაც. აი, რას ამბობს ამის შესახებ ჰექსლი. „შესანიშნავი იყო მისი ქუჩის შორ-მჭვრეტელობა, აუტრაცხელი იყო მისი ცოდნა, საოცარი იყო მისი მუდმივი შრომის მოყვარულობა, რომელიც ვერ შეასუსტა ფიზიკურმა ტანჯვამ. მარა რამდენათაც ეს ღირსებები შესანიშნავი არ იყოს, მაინც ვინც მას იცნობდა, ისინი კი არ იწვევდა უნებლიეთ მის თაყვანისცემას, არა, ეს იყო მისი შეურყეველი პატიოსნება, რომელიც შინაგან ცუცხლივით. შუქს ფენდა ყოველ მის აზრს, ყოველ მის მოქმედებას... დარვინის დასახსიათებლათ საკმარისაა გავიხსენოთ, თუ როგორ ეპყრობოდა ის თავის მოწინააღმდეგეთ. დარვინის თხზულებებმა გამოქვეყნებისათვის გამოიწვიეს მძლავრი წინააღმდეგობა. უმეტესათ აზერდენ მის წინააღმდეგ ტეოლოგები, რომელთაც, ვინ იცის, რა არ დაწამეს მეცნიერს. დარვინი თითქო გაურბოდა პოლემიკას. იმას ერაზხელაც არ ამოუღია ხმა მათ წინააღმდეგ და თავის გზაზე შეუჩერებლივ მიდიოდა. ის თითქო დარწმუნებული იყო, რომ დრო თავისას მოიტანდა, ქეშმარიტება გაიმარჯვებდა და დაუცხრომელი ტეოლოგები იძულებული იქნებოდნენ შერიგებოდნენ მის მოძღვრებას. მართლაც მეცნიერება ბევრ მაგალითს იძლევა ამ მხრით. გახსენეთ, რა ამბავი აუტყვის გალიღის, როცა იმ აზრს იცავდა, რომ დედამიწა ბრუნავს მზის გარშემო. მარა შემდეგ იძულებული იყვენ შერიგებოდნენ ამ აზრს და სხვა ნაირათ მოეწყოთ თავისი ქამანჩა. ტეოლოგები შეურიგდნენ ლაპლასის აზრსაც, რომელმაც დაამტკიცა, რომ ცის სხეულები თანდათან ვითარდებოდნენ და თანდათან იქნდნენ გარკვეულ სახეს ახლა ტეოლოგებს უკანასკნელი პოზიცია ერთმეოდათ. უმტკიცებდნენ ცხოველების თანდათან განვითარებას. მართლაც დარიინას ტაქტიკა სავსებით გამართლდა. მისმა თეორიამაც მოაპოვა მოქალაქეობრივი უფლება და სეროიზულათ მის წინააღმდეგ ახლა აღარავინ იბრძვის ან და ვერ ბედავს ბრძოლას.

ახლა შევეხოთ გონებრივ არეს, იმ გონებრივ პირობებს, რომლებშიც დარვინი განვითარდა. ჩვენ ლამარკის შესახებ წერილში გამოვარკვიეთ, რამ ევოლუციონური თეორია უკვე ლამარკმა შეიმუშავა. სხვა, ბევრი მეცნიერიც მიდიოდნენ იმავე გზით. იმდენი ფაქტი მოგროვდა, რომ მეცნიერთ არ იცოდნენ, როგორ მოეყარათ მათთვის თავი, როგორ დაეღვებიათ. ყველა ეს ფაქტები უჩვენებდნენ ორგანიზმების ევოლუციონურ განვითარებაზე. დარვინისებური ახსნა ცხოველურ მოვლენებისა თითქო ჰაერში იყო, თითქო ყველა გრძნობდა მას. რომ ნიადავი სავსებით მომზადებული იყო, რომ აქ ერთეულ ადამიანის შრომა არ არის, ამას ყველაზე უფრო ის გვიმტკიცებს, რომ ერთ და იმავე დროს, სრულიათ დამოუკიდებლათ ორმა ადამიანმა გამოაქვეყნა თითქმის ერთნაირი თეორია. ეს ორი ადამიანი იყო დარვინი და უოლესი. დარვინი 1837 წ. უკვე აკროვებდა მასალებს თავის თეორიისთვის, მარა 1858 წ. არავერი გამოაქვეყნებია. და აქაც ერთ შემთხვევის ბრალი იყო მისი შრომის გამოქვეყნება. 1858 წ. მისმა ახლო ნაცნობმა უოლესმა გამოუგზავნა მას სტატია, რომელშიაც იგივე აზრები იყო, რომელთაც დარვინი ატარებდა თავის თხზულებაში. უოლესის სტატიის გამოქვეყნება პირველათ ნიშნავდა მის პირველობას თეორიის შექმნაში. ამიტომ დარვინმა ამხანაგებს რჩევით უოლესის სტატია და თავისი თხზულება ერთ და იმავე დროს გამოაქვეყნა. მოვიყვანოთ ორიოდვე მაგალითი, რომელიც ამტკიცებს მათი აზრების ერთგვარობას.

დარვინი. ბუნებაში გაჩაღებულია ბრძოლა არსებობისათვის, როგორც ეს გვიჩვენა მალტუსმა და დე-კანდოლმა.

უოლესი. ველურ ცხოველთა ცხოვრება არის ბრძოლა არსებობისათვის, რომელშიაც უფრო სუსტი და ნაკლებათ გან-

ვითარებული ყოველთვის წააგებს.

დარვინი. განა საეჭვოა, რომ ყოველი ცოტადენი შეცვლაც აგებულების, ჩვეულების გინდ ინსტინქტის, მათქმელიც უკეთ შეაგუებს ინდივიდუმს ახალ პირობებს, მხოტქმელიც იქნება მისი ძლიერების და ცხოველყოფელობის. ბრძოლაში იმას მეტი შანსი ექნება გადარჩენისა, და მის ჩთამომავლათ, რომელთაც მემკვიდრეობით გადაეცემათ ეს ცვლილება, თუნდა გაუძლიერებლათ, მეტი შანსი ექნებათ გადარჩენის.

უოლესი. თუ რომელიმე მოდგმისაგან წარმოსდგება მისი შტო, რომელსაც სიცოცხლის დაცვის მეტი უნარი ექნება, ამ მოდგმის შტომ უსათუოთ უნდა რაოდენობით გადააჭარბოს სხვებს.

კიდევ ბევრი აზრის დასახელება შეიძლებოდა, რომელნიც დაგვიმტკაცებდა ამ ორი მეცნიერის დასკვნათა ერთგვარობას. ეს მაგალითი ჩვენ ნათლათ გვიჩვენებს, თუ როგორ თანდათან მზადდება ნიადავი კაცობრიობის გონებრივ სელაში ყოველი აზრისათვის. ორი ადამიანი სრულიათ დამოუკიდებლათ ერთ და იმავესაგანზე ერთნაირ თეორიას ქმნიან. ისტორიამ ბევრი სხვა ამგვარი მაგალითი იცის. ჩვენ, რასაკვირველია, ამ შედარებით არ გვინდოდა დარვინი დაგვემტკიცებია. არა, ჩვენი სურვილი იყო მხოლოთ ნამდვილი სახლვარი გვეჩვენებია მისი შემოქმედებით ძალისთვის. ამით ჩვენ ავლავმეთ ყველა ისინი, რომელნიც ცხოვრებაში არავითარ კანონიერებას არ ხედავენ და მზათ არიან ყოველი პიროვნება გადამერთონ. მართალია, დარვინის აზრები საზოგადოთ ახალი არ იყო, მარა არავის არ გამოუთქვამს ეს აზრები ისე მკაფიოთ, არავის არ შეუერთებია იმდენი ფაქტები და ისე გენიოსური სიმარტივით არ აუხსნია და დაუღაგებია, როგორც დარვინმა. დარვინმა აუარაცხელი ფაქტებით დაამტკიცა, რომ მოდგმანი ცვალებადია. მოდგმების წარმოშობაში პირველი და უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ბუნებრივი შერჩევა, მეორე აგრეთვე საგრძნობელი ფაქტორია არის მემკვიდრეობით გადაცემა ვარჯიშობის ან არ ვარჯიშობის შედეგებისა, ბოლოს მესამე ფაქტორია არის არეს პირდაპირი მოქმედება. ამნაირათ დარვინმა აგვიხსნა ორგანიული განვითარების მთელი პროცესი გენიოსიური სიმარტივით. ეს მისი ახსნა შეგვიძლია გამოვთქვათ საში სიტყვით: ცვალებადობა, მემკვიდრეობა და ბრძოლა არსებობისათვის.

განვიხილოთ დაწვრილებით ეს ფაქტორები.

X.

საუბარი სსვა-და-სსვა სსგნებზე.

V.

ქალთა დასაცველათ.

ყოველგან, ყოველ საზოგადოებაში შეხედებით ისეთ პირობათ, რომლებშიც იმის მაგიერათ, რომ მათ აესხნათ სხვა-და-სხვა თანამედროვე საზოგადოებრივი პირობები, მხოლოთ კიცხვენ ყოველივე აწმყოს და სამაგიეროთ ქება-დიდებით იხსენიებენ, რაც კი წარსულში მომხდარა. მაგრამ ასეთი პირები უფრო ჩვენში არიან გავრცელებული. ადვილი მისახვედრია, თუ საიდან მომდინარეობს ასეთი გარემოება. წარსულის შარავანდელით შემოსვას და მის ქება-დიდებას დიდი ანი და ბანი არ ესაჭიროება; სამაგიეროთ ძნელია მისი შესწავლა, და კიდევ უფრო ძნელია თანამედროვე ცხოვრების შეგნება-დაფასება. და აი ამ მძიმე შრომას იმით იცალებენ თავიდან, რომ კიცხვენ და ლანძღვენ ახალ დროს იმ ზომამდე, რომ მას ყურადღების ღირსათაც არ თვლიან, და იმავე დროს კი ცამდე აყავთ წარსული. სამწუხაროთ ამ ვაჭბატონთა სიტყვები ხშირათ ახწვევენ მიზანს: შეუგნებელი მკითხველი, რომელიც შევიწროებულია თანამედროვე საზოგადოებრივ ურთიერთობათა მეოხებით და იძულებულია ათსგვარი შეწუხება და გაჭირვება გადაიტანოს, ადვი-

ლათ უჯერის წარსულის მადიდებელთ, და იმის მაგივრათ, რომ მომავლისაკენ მიაპყროს თავის გონება და მხოლოდ იქ ციხოს ხსნა დაჩაგრულ მდგომარეობისაგან, წარსულისაკენ იყურება და იქ სურს მოიპოვოს განსვენება. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენი ხალხის უმრავლესობა დღეს წარსულის იდეალებით აღარ ცხოვრობს.

თუმც წარსულის დიდებას დღეს საზოგადოათ ჩვენში ადგილი აღარ აქვს, მაგრამ არის ერთი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა, სადაც წარსულის ქებას და მის ნატურას ჯერ კიდევ საკმარისათ დიდი ვასავალი აქვს. ერთათ ერთი საბუთი, რომლის ძალით წარსულის მოკრთვალენი ახალ დროს კიცხვენ ის არის, რომ ვითომც ჩვენ ხალხს ქართული ენა დაევიწყებოდა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს აშკარა ტყუილია, ვინაიდან ზოგიერთ არსების უკოდინარობა მთელი ხალხის უკოდინარობას როდი მოასწავებს. და მართლაც რომ ასე მომხდარიყოს, მართლაც რომ ჩვენ ხალხს სულ ერთიანათ დაევიწყებოდა ქართული ენა და სხვა ენაზე დაეწყოს ლაპარაკი, იმ შემთხვევაშიაც ჩვენ მართა ამის მიხედვით ვერ დავემობდით აწყყოს და ვერ ვაქებდით წარსულს, ვინაიდან ცხოვრებაში გარდა ენისა ჩვენ სხვა რამესაც ვხედავთ, რასაც უფრო მეტი და არსებითი მნიშვნელობა აქვს და რაზედაც დამოკიდებულია თვით ენა. ვინ ამბობს, რომ ქართული ენის წარმატებას დღევანდელ პირობებში არ თხოვლობდეს ქართველი ხალხის უმრავლესობის კეთილდღეობა, მაგრამ ისინი, ვინც დღეს ქართულათ ლაპარაკს ვეღარ ახერხებენ და ქართული ენის შესწავლისათვის ზრუნავენ, ამ უმრავლესობისთვის მაინც სამუდამოთ დაკარგულია.

ენის გარდა, ერთი გასამტყუნებელი საბუთი კიდევ აქვთ ახალი დროის წინააღმდეგ ჩვენ სახელოვან „კეთილისმყოფელთ“, და სწორეთ ეს გარემოებაა, რომელიც მეტათ აშკარათ ამჟღავნებს იმათ გონებრივ სიბრმავეს. ამ ვაჟბატონებისაგან ჩვენ დიდი ხანია გვესმის ყოველათ უსაფუძვლო ჩივილი და ყვედრება, მიმართული ქართველი ქალების წინააღმდეგ, რომ ვითომც ეს უკანასკნელნი გადაგვარდენ, დაივიწყეს დედა ენა, დაეცენ ზნეობით, ოჯახობა, მზარეულობა და ბავშვების აღზრდა სრულებით აღარ იციან; საზაგიერთო დაეჩიენ დროს გატარებას, ევროპიულათ ჩაცმა-დახურვას და სხვა ამგვარებს. ქალების ამნაირათ გადაგვარებას და დაცემას მამაკაცების გადაგვარება და დაცემა მოყვა: ჩვენც აღარ ვარკივართ, ჩვენც დავივიწყეთ დედა ენა, ვინაიდან დედები აღარ გვინერგავენ იმას პატარაობიდანვე, ოჯახი აღარაფრათ მიგვაჩნია და შევიქენით გარეწარნი. ჩვენმა დედებმა დაივიწყეს, რომ წინეთ რაც იყვენ, ისინი იყვენ. იმათი მეოხებით მოახწია ჩვენმა საქართველომ აქამდის; დროა, უარპყონ ახლანდელი განათლება, რა საჭიროა მათთვის მეცნიერება, რა საჭიროა მათთვის ხელოვნება, პოეზია, სიტყვიერება, — ყოველივე ეს, შესაძლებელია, მამაკაცებმა გამოიყენონ რაშიმე. ხოლო დედა-კაცებმა კარგა მაგრათ ჩიკეტონ კარები და მიყონ ხელი ოჯახობას, მზარეულობას, ქრა-კერვას, ბავშვების მოვლას, და არამცა და არამც ამ ფარგლიდან გამოსვლა არ ვაბედონ. მაგრამ ეს რომ განხორციელდეს ამისთვის საჭიროა დედაარსოთ ერთი სკოლა, რომელშიაც ქალებმა ყოველივე ეს უნდა ისწავლონ, და მხოლოდ მაშინ ეშველება ჩვენ საქართველოს: ჩვენ მამებს, ქმრებს და შვილებს ჩინებულათ ეკოდინებათ ქართული ენა და სხვა რაღა გვინდა. მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ ამას მოიმოქმედებს ერთი სკოლა, და ისიც დაბალი. — აი, რას გაიძახიან და ჩაგვიჩინებენ ჩვენი ვითომდა კეთილის მსურველნი! და მერე რამდენი სიცრუე, რამდენი სიყალბე და დაცინვა ყველა ამაში! ვანა ამის მოქმელს კარგათ არ ესმის, რომ მისი ნათქვამიდან სრულებით არა გამოვა რა და მხოლოდ იმეტომ ამბობს, რომ

ამისთვის არაფერს ხარჯავს, ეს მას არაფრათ არ უღირს, და მეორე მხრით შეიძლება იმის იმედიც აქვს, რომ შეიძლება ვინმემ აქოს, საზოგადო მოღვაწე უწოდეს, ქართველთაგან ხსენოთ, ჩვენ არაფერს ვიტყოდით ასეთ შემთხვევაში, მაგრამ მექონეთ ვაბატონების შესახებ, რომ იმათ რიცხვში ჩვენდა სამწუხაროთ ამ უკანასკნელ დროს ერთ ფრიათ დამსახურებულ საზოგადო მოღვაწეს არ ამოეყო თავი: ჩვენ მოგახსენებთ საქართველოს სახელოვან მგოსანზე, თ-დ აკაკი წერეთელზე. ჩვენ პატივსაცემთ მის ნიქს და ღვაწლს ჩვენ მწერლობაში, მაგრამ მიუხედავათ ამისა არ შეგვიძლია თვითრს თვითრი არ ვუწოდოთ და შავს — შავი.

ვისაც წაკითხული აქვს თ-დ აკ. წერეთლის სიტყვა *), რომელიც მან წარმოსიტყვა 25 აპრილს ქუთაისის თავადაზნაურობის კრებაზე, ჩვენ დარწმუნებული ვართ, იმისთვის ჩვენი სიტყვები გაუგებერი არ დარჩება. დავანებოთ თავი იმას, რომ ორატორს სრულიათ შემეძლარი და ცრუ წარმოდგენა აქვს როგორც წარსულზე, ისე ჩვენ თანამედროვე ცხოვრებაზე; უფრო სამწუხარო ის არის, რომ იგი სრულებით უარპყრფს ქალების განათლებას, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. მისი აზრით ქალებისთვის სრულიად საკმარისია დაბალი სასწავლებელი, სადაც ისინი ქრა კერვას და მზარეულობას ისწავლიან და ამასთან ბავშვების აღზრდას; უმცა ეს უკანასკნელი მოთხოვნილება ჩვენთვის გაუგებარია, ვინაიდან შეილები აღზრდა ეს მეტათ რთული საქმეა, რისთვისაც დიდი გამჭირაბობა და ცოდნა საჭირო, და ამას კი დაბალი სასწავლებელი ვერ შესძენს ადამიანს. ამნაირათ პატივცემულ ორატორს სურს უკუდმა შეატრილოს ისტორიის ჩარხი: რაც ქალებმა დიდი წვალების და ტანჯვის შემდეგ მოიპოვეს განათლებულ ქვეყნებში, ყოველივე ამას იგი მდნარეში ყრის და წყალს ატანს. ყველა განათლებულ ქვეყნებში ქალები გაფაციცებით იბრძვიან იმის გამო, რომ ვაჟებთან ერთათ მათაც მიეცეს სწორი უფლება უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის მიღებისა, რომ იმათაც ჰქონდეთ უფლება მთავრობის თუ კერძო საზოგადოებათა დაწესებულებებში თანამდებობის მიღებისა, რომ მათაც მიენიჭოთ საარჩევნო ხმა მუნიციპალიტეტებში და პარლამენტებში და სხვ. და ჩვენში კი იმავე დროს საშვალო სასწავლებელსაც კი მეტათ თვლიან; ამბობენ, რომ ამოდენი ცოდნა არ არის საჭირო; რაც შეიძლება ნაკლები ცოდნაო. და წარმოიდგინეთ, რომ მოყურადე საზოგადოება იმის მაგივრათ, რომ უკმაყოფილება განეცხადებია ასეთი აზრის წინააღმდეგ, ტაშის დაკრით აჯილდოვებს ორატორს. ერთი ვიკითხოთ: მისცა კი ანგარიში კრებამ თავის თავს, თუ რას უკრავდა იგი ამ შემთხვევაში ტაშს? ჩვენ გვგონია, რომ არა, რადგანაც ვფიქრობთ, რომ გონებრივი სიბნელის მომხრე იგი არ უნდა იყოს თავის წრეში მაინც. ჩვენ კი ხმა მალლა უნდა დავგმოთ ასეთი შეხედულება და ჩვენ ქალებს უნდა ვურჩიოთ, რომ მათ უშიშრათ გაარღვიონ ის ფარგალი, რომელიც მათ პატივცემულმა მგოსანმა მიუჩინა; საჭიროთ მიგვაჩნია ვუსურვოთ ჩვენ ქალებს, რომ იგინი უკან დაუხეველათ ვილოდენ იმ გზაზე, რომელიც გაკვალეს მათმა უფროსმა დებმა განათლებულ ერებთან. პატივცემული აკაკის რჩევა კი, დაჯექით სახლში და „მატყლი ჩეხეთო“, ჩვენ ქალების შეურაცხყოფათ მიგვაჩნია. და უნდა ვუკვათ სიმართლეს, ბატონი აკაკი მართლა ამცირებს ჩვენ თანამედროვე ქალებს, იმის სიტყვით ჩვენი დღევანდელი ქალები არა თუ „ლობიოს მუხულოსაგან ვერ არჩევენ“, „არამედ ერთი ნემსის ამობნევაც არ შეუძლიათო“. ჩვენ ეს რასაკვირველია არ გვჯერა, და სწორე მოგახსენოთ არც და-

*) ის ცნობის ფურცელი № 179.

საჯერებელია. ამნაირათ ქართველ თანამედროვე ქალში ჩვენი სახელოვანი პოეტი ვერაერთარ ღირსებას, რასაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, ვერ ხედავს. ნეტა მართლა ასეთია თანამედროვე ქართველი ქალი? ნეტა არაფერში არ ღებულობს იგი მოხაწილეობას? ნეტა მართლა არ ადღეღებენ მას ჩვენი საზოგადო საქმეები? არ ღებულობენ ისინი მოხაწილეობას ჩვენ ლიტერატურაში? არ ვხედავთ ჩვენ იმათ თავდამოდებული მასწავლებლებათ? არ უდგანან ისინი თავიანთ ქმრებს გვერდში, როგორც ჭირში, ისე ლხინში? არ იკაფავენ იგინი გზას უმაღლეს სასწავლებელში? თქმა არ უნდა, რომ ჩვენ ქალებს ჯერ დიდი ნაბიჯი არ გადაუდგამთ წინ, მაგრამ ყველა დასახელებულ დარგში იმათაც შეიტანეს თავისი წვლილი, და ამის არ დაფასება, ამის არ დანახვა დიდ ცოდვით უნდა ჩაეთვალოს ყველას. ვთქვათ, ჩვენ ქალებს დიდი ნაბიჯი არ გადაუდგამთ წინ, დიდი არაფერი გაუკეთებიათ, მაგრამ ერთი ვიკითხოთ, ჩვენ, მამაკაცებმა, რომელთაც უფრო მეტი შეძლება და ღონისძიება გვაქვს, რა გავაკეთეთ, რამდენით გავასწარიეთ წინ ქალებს? დიდით არაფრით, მეორე მხრით, რა ნაკლები ვანებასაც დღეს ჩვენ ქალებში ვხედავთ, ეს ყოველივე ჩვენი, მამაკაცების, ბრალია. ბატონ აკაკის აზრით კი დღევანდელი მამაკაცების ვარეწარობა სულ ქალების ბრალია. განა ამის თქმა შეიძლება? მაგრამ საზოგადოებრივ თუ აკადემიურ სფეროებში უზომოდ აქვებს ქართველ ქალებს წარსულ ჩვენ ისტორიაში. მისი სიტყვით, წარსულში „ყველგან და ყველაფერში ქალი, ქალი და ქალი იყო“. ესე იგი მაშინ ჩვენმა ქალებმა „იკოდენ სამშობლოს ავი და კარგი, იკოდენ დედა ენა, იკოდენ ქრა-კერვა, მხარეულობა; იკოდენ შეილებს აღზრდა, როგორც ფიზიკურათ, ისე ზნეობრივით და გონებრივით“ — მაგრამ „დედაკაცი ამ ოჯახურ შრომით არ ჯერდებოდა და ხმლით ხელში მიუძღვებოდა მტრის წინააღმდეგ სასოწარკვეთილებაში ჩაგარდნილ ჯარსო“. თქვენ თუ გაბედეთ და პატივცემულ ორატორს კითხეთ, საიდან ჩანს ქართველი ქალის ასეთი როლი წარსულშიო, იგი დაგისახელებთ თამარ მეფეს. ამნაირათ, როგორც ხედავთ, ჩვენი ისტორიის ცოდნა იწყება და თავდება თამარ მეფის ხსენებით. თუ თამარ მეფე ახსენეთ, სხვა აღარ არის რა საჭირო. შეიძლება თქვენ ისიც შეკადროთ პატივცემულ მგოსანს, რომ მართალია დღეს ჩვენი დედაკაცები ლაშქარში აღარ მიუძღვიან ჯარს „ხმლით ხელში“, რა ხელობასაც დღეს აღარც მამაკაცები მისდევენ მაინცა და მაინც, მაგრამ რაც შეეხება ოჯახის, ბავშვების აღზრდას, ამას ვერ ვუსაყვედურებთ. მაშინ ბატონი აკაკი თქვენ მოგაძახებთ, რომ კარგი თქვენ მოგივა, კარგი აღზრდები ჩვენი დედები ყოფილან: „რთგორი მამასადულები ვუფთვიღვართ, ეს დღესვე აღმჩნდა ამ კრებაზე, რამ ქართულათ ორა სიტყვის თქმა ვერ მოვახსენეთ“! აი ახლა ხომ გესმით, რა ყოფილა ჩვენი ქალების დანაშაული! თურმე ქართველი თავად-აზნაურობის წარმომადგენლებმა რომ ქართული არ იციან, ეს სულ იმათი ბრალი ყოფილა! ვერ გავიგია, რათ მართა ქართველ ქალს აქვს ამაში ბრალი, და არა ქართველ მამაკაცსაც? ან შეიძლება იმ პირობების შექმნა, რომელთა წყალობით ზოგიერთებისთვის შესაძლებელია ქართული ენის უცოდნელათა კარგა ცხოვრება, მართლთა მართლ ქალებზე კიდია? ეს რომ ასე იყოს, იმ შემთხვევაში ჩვენ არაფერი არ გვექნებოდა სათქმელი პატივცემული მწერლის წინააღმდეგ, მაგრამ ასეთი აზრის გატარება ჩვენ სრულ უგუნურებათ მიგვაჩნია, რომ მეტი არა ვთქვათ. აშკარაა, იმ პირობების შექმნაში, რომლებიც აუცილებლათ ხოთან ქართული ენის ცოდნას თუ არ ცოდნას, ქალები ისე არაფერ შუაში არიან, როგორც თვით მამაკაცებიც; ერთი სიტყვით, ეს არაის სურვილზე არ არის დამოკიდებული. არც ის არის კეთილსაბუნსი, რომ რომელიმე

სკოლას ძალედვას ქართული გინდ სხვა რომელიმე ენის გავრცელება, თუ ამ ენას თვით ხალხის ცხოვრებაში არ აქვს მკვიდრი საფუძველი, თუ იმის ცოდნას ხალხის წიგნით არა რომები არ ხდიან აუცილებელ საჭიროებას. ესე იგი ჩვენი ღრმა რწმენა, დასასრულ ვიმედოვნებთ, რომ არც ჩვენი საზოგადოება და კერძოთ არც ჩვენი ქალები არ აყვებიან სხვისი ფეხის ხმას და მედგრათ შეუდგებიან იმ დანიშნულების შესრულებას, რომელიც მათ ისტორიამ არგუნა.

მ. ასაუბრე.

სხვა-და-სხვა ამბები.

როგორც წარსული წლის ანგარიშიდან ჩანს, დაფასების გარდასახადი არ შემოუტანიათ სულ 80,000 მან. სხვა-და-სხვა მიზეზების გამო. ქალაქის გამგეობამ ზომები მიიღო ამ გარდასახადის მოსაკრებათ.

სავაჭრო-სამეურნეო პოლიციამ აღძრა კითხვა გამგეობაში იმის შესახებ, რომ ქალაქის სასწორი მოედანზე თვითონ ქალაქსა აწარმოვას, რადგან სასწორის მოიჯარადრე ღრუზე ქრას არ იხდის, რის გამოც მომრიგებელმა მოსამართლემ სასწორის მოიჯარადრეს ბუდაღვს ჩამოართვა უფლება იჯარისა სასწორის საწარმოებლათ.

ქალაქის გამგეობამ და საფინანსო კომისიამ, კავკასიის სამედიცინო საზოგადოების შუამდგომლობის გამო, დაადგინა, აღძრან ქალაქის საბჭოში შუამდგომლობა, რათა დაენიშნოს სამედიცინო საზოგადოებას ყოველ წლიურათ 300 მან. სამედიცინო და საპიკინო პროშურების გამოსაცემათ ადგილობრივ ენებზე.

ჩვენ მივიღეთ ახალი წიგნი: „ამბები ინგლისის ისტორიიდან მე-XI საუკუნიდან მე-XIX საუკუნის დასრულამდე. ა. თ. ბიკოვისა, თარგმანი ვ. ს. ჩხეიძისა. წიგნი შეიცავს 383 გვერდს და ღირს ერთ მანეთათ. გამოცემულია „ცოდნის“ ამხანაგობისაგან. ამ მეტათ საყურადღებო წიგნის ბიბლიოგრაფიას შემდეგ ნომერში მოვათავსებთ.

ჩვენ მივიღეთ 1901 წლის ანგარიში შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის არსებულ თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა. ეს საზოგადოება, ოცდა სამი წელიწადია რაც არსებობს. ყველაზე უფრო თვალ-საჩინო საქმე ამ საზოგადოების მოღვაწეობაში არის სათავად-აზნაურო შკოლა. დღეს ამ შკოლაში თექვსმეტი კლასია, ამათში 4 მოსამზადებელი და სამი პარალელური, რვა გიმნაზიური და ერთი პარალელური პირველი კლასი. მოწაფეთა რიცხვი 618-ია. ამათში 429 თავად-აზნაურია, 52 სასულიერო წოდების, 29 — მოქალაქეთა შეილები, 27 გლეხი და 81 სხვა-და-სხვა მოხ. შეილები. სასწავლებელში მასწავლებელთა და ამღზრდელთა საერთო რიცხვი 42.

შკოლასთან არსებობს პანსიონი, სადაც წლიური გადასახადი 200 მან. საზოგადოება ინახავს თავის ხარჯით, თუ კერძო შემოწირულებით 28 მოწაფეს, 32 მოწაფე იხდის მხოლოდ ნახევარ ფასს, ე. ი. 100 მან. სწავლის ფულიდან, რომელიც 12 მან., გაუთავისუფლებით 291 მოწაფე. გარდა ამისა საზოგადოება დახმარებას უწევს სხვა სასწავლებლების მოწაფეთაც. ასე, გასულ წელს უმაღლეს სასწავლებლებში საზოგადოებას ყოლია 11 სტიპენდიანტი, დროებით შემწეობა ამოუჩნია 17 სტიუდენტისათვის. გასულ წელს საზოგადოებას სათავად-აზნაურო შკოლის შესანახათ დახარჯვია 73,435 მან. გარდა ამისა საზოგადოება აშენებს შკოლისთვის საკუთარ სახლს ვერაზე,

რომელიც დაჯდება, ეგონებ, არა ნაკლებ ნახევარი მილიონი-სა. გასულ წელს სახლის შენებისათვის მოუხმარიათ 78,225 მან. საზოგადოებას ბევრა სხვა საქმეებიც აქვს. მას აქვს საკუთარი სახლი თვილისში, მამული სკრაში და სხვა. ამისთანა რთულ საქმეში აუცილებლათ საქირაო მუღმივი ყურადღება თვით საზოგადოების მხრივაც, აქ კვალ და კვალ უნდა იოვალისწინებდეს საზოგადოება კომიტეტის მოქმედებას. სამწუხაროთ, ანგარიში ჩვენ არც კი გვიჩვენებს, არსებობს თუ არა, სარევიზიო კომისია და რა აზრისაა ის კომიტეტის მოქმედების შესახებ.

კორესპონდენცია.

ბათუმი. ბათუმის საბჭოს 29 ანრიის მორიგი სხდომა.—

კრებსა თავმჯდომარეობდა ქალაქის თავი, ბ-ნი ი. ანდრეიკაშვილი, რომელმაც მასწავლა საბჭოს გუბერნატორის წინადადება ბათუმში მეოთხე 200 ეასხის და მათი ცხენებისათვის შესაფერი სადგომის მოხუბის შესახებ. ქალაქის თავმა თქვა:—გამგებამ მიიღო ქუთაისის გუბერნატორისაგან მოწერილობა, რომლითაც ის წინადადებას აძლევდა გამგებებს მოხუბების თავის ხარჯით უსახებისათვის სადგომი და თუ კანონის ძალით ქალაქი ამის მოვალე არ იქნებოდა, შემდეგ მუხამდგომლათ მთავრობის წინაშე დახარჯული ფულის დაბრუნების შესახებ. ამასთანავე გუბერნატორი თხოულობდა გამგებებისაგან, რომ უსახებისათვის სადგომის მოხუბებს დაჩქარებით შედგომოდნ და არ დაეცადათ საბჭოს სხდომის მოხდენამდე. გამგებებს საქარავებლათ ვერ ეზივნა შესაფერი სადგომი და გადაწყვიტა ახალი აკგო. ქვის სადგომი, რასაკვირველია, უფრო მეტი დაჯდება—ნ-დან 8 ათასამდე და ხის კი—4-დან—5-მდე. გამგებებსაც ეს უკანასკნელი აერჩია. მოწყობა მოიჯარადრეები, რომლებსაც განცხადებით, რომ ხის შენობას თენახევერის გასვლამდე ვერ ჩაბარებდნ. გამგებმა შეკითხებოდა გუბერნატორს, რომ მას ეუწეება გამგებებისათვის: უსახები მუღმივით დაჩქარებდნ ბათუმში, თუ დროებით და ამ უკანასკნელ შემთხვევაში რამდენი ხნით. ამის გაკება საჭირო იყო იმიტომ, რომ თუ უსახები დიდი ხნობით დაჩქარებდნ, აკგოთ უფრო მეტიც, ქვის შენობა, და თუ დროებით, დასმითრებას—აკგოთ ხის. მარა ბასუხი ამის შესახებ გამგებებს ჯერაც არ მიუღია. საბჭომ გადაწყვიტა, რომ დაეცადათ ამ ბასუხისათვის და შემდეგ აკგოთ შესაფერი შენობა, ამასთანავე აღიძრას შუამდგომლობა, რომ დახარჯული ფული, თუ ეს ხარჯი მოხდება; დაბრუნებულ იქნას, რადგან კანონის ძალით ქალაქი ვალდებული არ არის ჯარებისათვის სადგომი აკგოს.

გამგებების წევრმა ბ-ნმა გრ. ვოლსკიმ წაიკითხა ახლათ აკგებულ საავათყოფის ექიმთა კომისიისაგან შემდგარი წესდება, რომლითაც, სხვათა შორის, ვტუობილობთ, რომ საავათყოფა შეინახება ქალაქის ხარჯით. საავათყოფაში მოწყულ იქნება 4 ექიმი. ავათყოფები 120-მდე მიიღება. ზოგიერთ ზუნქტების შეცვლით წესდება მიღებული იქნა. სახელდობრ შეცვალეს ის მუხლი, რომლის ძალითაც თვითველ ავათყოფის თვეში უნდა გადაეხდა 18 მ. ეს გადასახადი უნდა დაწესდეს საბჭოს მიერ უფულ წლიურათ. დიდი კამათი გამოიწვია იმ ზუნქტმა, რომლის ძალით ავათყოფის ხათესავებს არ შეეძლოთ საავათყოფის ექიმთა დაუთანხმებლათ ავათყოფის გამწვარა. ამ მუხლის შეტანა წესდებაში იმან გამოიწვიათ, თქვა ქალაქის თავმა, რომ ხშირათ, გაუგებრობის გამო, ისეთ ავათყოფის წავუგანას მოითხოვენ, რომლის გამოწვარა საავათყოფადან ავათყოფის ვნებას მოუტანსო. ხმ. გრ. ელიავამ თქვა, რომ—შეიძლება ახლათ მომხდარ ოპერაციის შემდეგ მოითხოვონ ავათყოფის გამოყვანა საავათყოფადან და ეს კი, შეიძლება, ავათყოფის შესაფერათ მოუვლელობის გამო, ავათყოფის სიკვდილათ დაუკდესო. საბჭოს უმრავლესობამ ეს მუხლი ამგვარათ შეცვალა: ავათყოფის გამოწვარა საავათყოფადან ხათესავების თხრობით უფულ დროს შეიძლება, თუ ავათყოფი გადამდებ ავათყოფობით არ არის ავათ.

წაითხულ იქნა დამოუხსებელ კომისიის მოხსენება; კომისიის თხოულობდა, რომ შეეცვალათ ინსტრუქციის ის მუხლი, რომლითაც ქანებაზე შემოსავალი იანგარიშება. ეს მუხლი ინსტრუქციის შემდგომად: ხის შენობის შემოსავალი უნდა გამრავლდეს 10-ზე, და მიღებული რიცხვი იქნება შენობის ფასი. მარა ადგილის მდებარეობის მიხედვით და სხვა მრავალ მიზეზებით სახლის შემოსავალი ზოგ ალაგას ნაკლებია და ზოგან მეტი. საუკეთესო ქუჩაზე სახლს იმდენი შემოსავალი შემოაქვს, რამდენიც არ შეუძლია შემოიტანოს ქალაქის განაზირა ადგილზე აკგებულმა სახლმა, თუმცა ეს სახლი ზირველზე ბევრათ უკეთესიც იყოს. ინსტრუქციის ძალით ეს სახლები ისე შეფასდება, რომ სახლი დირებული ნაკლებათ შეფასებოთ გაუთანასწორდება მეტათ დირებულ სახლის ფასს. და ისიც მოხდება, რომ ნაკლებათ დირებული სახლი მეტათ შეფასდეს და ზირიქით. მაგალითათ, ვთქვათ, რომ საუკეთესო ქუჩაზე აკგებული სახლი ღირს 1000 მ., ქალაქის განაზირას აკგებული—2000 მ.; ზირველს შემოაქვს შემოსავალი 400 მ., მეორეს—300 მ. აქედან კომისიის ინსტრუქციის შეფასებით ზირველი ეღირება 400 მ. $\times 6 = 2400$ მ. მეორე—300 მ. $\times 6 = 1800$. ამ უფარგისა მუხლის შეცვლას თხოულობდა კომისია, ისე რომ სახლები კომისიას თავის შესედულებას მიმბრ შეეფასებოთ. მაგ., ზოგი სახლის შემოსავალი გამრავლებების 4-ზე, ზოგის—5-ზე და ასე 10-მდის. მარა კანონის ძალით შეუძლებელი ეოფილა, რომ სახლების ფასისა და შემოსავლის გამანზირიშება სხვა-და-სხვა გვარათ მოხდეს.

საბჭოს მოხსენდა ბათუმის გიმნაზიის დირექტორის წინადადება, რომ გიმნაზიაზე დახარჯვის დახარჩენი 1200 მანეთი ქალაქმა გადადოს გიმნაზიის საფიზიკო კაბინეტის გასამდიერებლათ. ეოფულ წლიურათ ქალაქი გიმნაზიაზე 15000 მანეთს ხარჯავს. წელს ზედმეტი დაუხარჯავს 5000 მანეთამდე გიმნაზიის შენობის შესაკეთებლათ. და რადგან ქალაქის ფინანსები ამ ჟამათ, საფუთო გადასახადის სამინისტროს ხელში გადასვლის გამო ვერ არის სახუგეში მდგომარეობაში და ეოფელიკაბეიკი მოხმარებულ უნდა იქნას მეტათ საჭირო და აუცილებულ ხარჯებისათვის, ამიტომ ის 1200 მან. გადაეხდებულ უნდა იქნას იმ ზედმეტი დახარჯვის შესამდიერებლათ, რაც ქალაქმა გიმნაზიის შეკეთებაზე მოახდინა. ამ ჟამათ კი საფიზიკო კაბინეტი გიმნაზიის იმდენათ მოწყობილია, რომ შეუძლია დააკმაეოფილოს გიმნაზიის მოთხოვნილებანი. ისე კი, ქალაქი ეცდება აუცილებელი და საჭირო მოთხოვნილებანი გიმნაზიის არ დასრკოლოსო. ასეთი იყო გამგებების აზრი დირექტორის წინადადების შესახებ. ამ აზრს დაეთანხმა საბჭოც.

მომავალი წლის 15 აგვისტოს შესრულდება 25 წელი, რაც ბათუმი რუსეთმა შეიერთა. საბჭომ მოიწადინა ამ დღის აღსანიშნავათ დაეარსებინა ბათუმში რაიმე საზოგადო სასარგებლო დაწესებულება. შეჩერდნ თეატრისა და საჯარო ბიბლიოთეკის დაარსებაზე. ამშუებულ კომისიის ანგარიშით თეატრი დაჯდება 122,200 მ., ეოფულ წლიური შემოსავალი ქალაქს თეატრიდან ექნება 13650 მ.—ხარჯი—13205 მ. კომისიის აზრით ჯერ-ჯერობით საჭიროა მხოლოთ 20,000 მ. და შემდეგ შენობა შეიძლება დაგირავებულ იქნას რომელიმე საერადიტო დაწესებულებაში, ასე რომ ვალი საწილსაწილათ გადაინდება. კომისიის აზრითვე მოწყობილი თეატრი უნდა გაიყოს იჯარით. საბჭომ ზრინციზილურათ სასარგებლოთ და საჭიროთ იცნო ბათუმში თეატრის აკება და დაეთანხმა გამგებებისაზრს, რომ გადაეხდებულ იქნას 1000 მან. თეატრის ზღახისათვის და შემდეგ ხელ-ახლა განხილულ იქნას ეს კითხვა: აკგოს თუ არა ქალაქმა თეატრი. ჩვენ შევნიშნეთ, რომ ქალაქის მიერ თეატრის აკებას ბ-ნი ხმისები გვარისან გულ-გრილათ მიუგებენ. თუ რამდენათ საჭიროა, სასარგებლოა ბათუმში ხეირისანი თეატრი, ამასე დაზარაკი მეტათ მიმჩნია. ის მიმტრეულ-მიმტრეული შენობა, რომელსაც „რკინის თეატრს“ უწოდებენ და რომელშიაც თითო წარმოდგენის ქირათ მისი ზატრონი 60 მ. თხოულობს, ვერ აკმაეოფილებს განვითარებულ მოთხოვნილებას და ამასთან მისი ქირა მეტათ სავრძობელია და შე-

უძველესი ხდის ისეთი წარმოდგენების მართვას, რომლითაც ფუ-
ლას მოგება მაშინათ კი არ აქვთ, არამედ ხალხისათვის იაფი წარ-
მოდგენების მართვა და მით მათთვის განებრივი სახრდოს მიწოდე-
ბა. ქალაქი კი თუ რომ თეატრს აკებს და არ გადაცემს მას მთი-
ჯარდრეს, როგორც ამას კომისია თხოულობდა, მეტათ დაენმარება
იაფ-იფასიან და საქველ-მოქმედო მაშინათ დადგმულ წარმოდგენების
მართვას. ვუსურვოთ ბათუმის საბჭოს, რომ ამ კითხვისთვის მას
შესაფერა ეურადღება შეეცდოს, და ის გულ-გრილობა, რაც თეა-
ტრის აკების კითხვის შესახებ ეტყობოდათ ხმისნებს, შეეცვალოთ
თეატრის აკების გადაწყვეტილებაზე და მით ხელი გაწოდოთ სა-
ზოგადოების მომწიფებულ მოთხოვნისათვის. რაც შეეხება იმ
მოხსენებას, რომელიც კრებაზე წარმოიტყვა ერთი ხმისნის მიერ,
რომ ამ საბჭოს ვადა ნოემბერში უთავდება და უხერხული იქნება
ახალ საბჭოს თავზე მოვსვლით ჩვენი გადაწყვეტილება, — ეს გა-
დაცხარებული „დელიკატობაა.“ მცხოვრებთათვის სასარგებლო დად-
გენილებისათვის დაე გაიკვიროს ქველი საბჭო, თუმცა ვეჭვობთ,
რომ ბათუმის მომავალ საბჭოს ისეთი უბედურება ეწვიოს, რომ ამ-
გვარ სასარგებლო დადგენილების გამაგრება დაუჩინეს მას წევრე-
ბათ.

საბჭო დაეთანხმა გამგეობის აზრს, რომ შეტანილ იქნეს მო-
მავალი წლის ხარჯთ აღრიცხვაში საჯარო ბიბლიოთეკისათვის საჭი-
რო ხარჯები. ერთხნობით ბიბლიოთეკას მოუნდება 3000 მ., ყოველ
წლიურათ—2000. ხმისნმა ნ. ჯაუელმა ითხოვა, რომ ბათუმის
რუსეთის შეერთების 25 წლის გასულა აღნიშნულ იქნეს აგრეთვე
ისეთი კრებულის გამცემით, რომელშიაც აწერილი უნდა იქნეს ბა-
თუმი სტატისტიკურათ, ეტნოგრაფიულათ, ისტორიკო-გეოგრაფიუ-
ლათ და სხვ. საბჭომ მიანდა ბ. ნ. ჯაუელს კრებულის მრგვა-
ლის წარმოდგენა, — გამგეობას კი — ამის შესახებ მოხსენება.

ბათუმის რუსეთის შეერთების 25 წლის აღსანიშნავათვე ბ. ნ. მ.
ქალაქის თავმა თეატრისა და ბიბლიოთეკის აკების გარდა, ახა-
ლი წინადადება შემოიტანა. მას თქვა: თეატრი ისეთი დაწესებულებ-
ბაა, რომლითაც დაბალი, მუშა ხალხი იმდენათ ვერ ისარგებლებს,
რამდენათაც ინტელაგენცია. ამიტომ ჩვენი მოვალეობაა იმათაც მიე-
ცეთ ისეთი დაწესებულება, რომლითაც მათ მეტი სარგებლის სახვა
შეეძლოთ. მე ვაშობ ბიბლიულ დაწესებითი სკოლის დაარსებაზე. და-
ვარსით მუშათა კვარტალში ბიბლიულ დაწესებითი სკოლა, რომელშიაც
მუშათა შვილები უნდა აღიზარდონ. და თხოვა საბჭოს, რომ მო-
მავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვაში ამ სკოლისათვის საჭირო ხარჯი
შეეტანათ. საბჭო დაეთანხმა ბ. ნ. ქალაქის თავს.

ბიბლიულ კრებაზე ხმისნებისადმი მამართულ სიტყვაში ბ. ნ. მ. ი.
ანდრანიკაშვილმა თქვა: არ უნდა დავივიწყოთ ხალხის ინტერესებიც.
და ეს მან მეორე კრებაზედვე განხორციელა. ვუსურვებთ თვითმართ-
ველობის ახალ მოღვაწეს მის მიერ დახირებულ გზაზე სიარულს.

**ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა არა-ჩვეულე-
ბრივი ქრება.**

უმაღლესათ ნაბოძებმა ოც ათას მანათმა ქუთაისის გუ-
ბერნიის თავად-აზნაურთა არა ჩვეულებრივ კრებაზე ბევრ
თავად-აზნაურს მოუყარა თავი. კრება სამ დღეს გაგრძელდა.
ამ საში დღის განმავლობაში ბევრა საყურადღებო აზრი გა-
მოიჩინა მის შესახებ, თურას მოხმარდეს შემოხსენებული ფული,
რაც კრებას სიფხიზლეს და სიცოცხლეს აძლევდა. სანამ ნა-
ბოძებ ფულის მოხმარების განხილვას შეუდგებოდა კრე-
ბა, მან მოისმინა პეტერბურგში ვაგზაფერილ დეპუტა-
ციის მოხსენება. შემდეგ ბ. კირილე ლორთქიფა-
ნიძის თხოვნით კრებამ მადლობა გადაუხადა დეპუტაციას და
შემდეგ პროექტების განხილვას შეუდგა. ბევრ უმნიშვნელო პრო-
ექტთა შორის ყურადღების ღირსია: 1) სათავად-აზნაურო ინსტი-
ტუტი ნიკოლოზ II სახელობაზე, — ეს პროექტი შარშან ამორ-

ჩეულ კომისიის ეკუთვნის, 2) დაბალი საქალებო სასწავლებ-
ლები სათავად-აზნაურო სკოლების ტიპისა — აკაკი წერეთლისა,
3) საშუალო სამეურნეო სასწავლებელი — ს. ბატონიძისა, 4)
სტიპენდიები სხვა და სხვა სახის, წარმოდგენილი სხვა და სხვა
პირების მიერ და 5) არსებულ სააზნაურო სკოლის საშუალო
სასწავლებლათ გადაკეთება.

ხსენებული ინსტიტუტის პროექტი კობია ნიჟინ-ნოვ-
გოროდის სააზნაურო ინსტიტუტისა, მხოლოდ იმ განსხვა-
ვებით, რომ ადგილობრივ პირობების მიხედვით ზოგიერთი
მუხლი შეუცვლიათ, სხვათა შორის სასწავლებლის პროგრამაში
ქართული ენაც არის შეტანილი, კვირაში 15 გაკვეთილი.
ქართული ენის შესახებ აი რას ამბობს კომისია: რადგან ად-
გილობრივი პირობების გამო ქართული ენის შესწავლა აუცი-
ლებლათ საჭიროა, თავად-აზნაურობა საჭიროთ რაცნს, რომ
ქართული ენის შესწავლა სავალდებულო იყოს. ინსტი-
ტუტში ცხრა კლასია, ორი მოსამზადებელი და შვიდიც
საშუალო სკოლის, აქვს ისეთივე უფლებები, როგორც გიმნა-
ზიას; სასწავლებელს განაგებს მთავრობის მიერ დანიშნული
დირექტორი, მოსწავლეთა რიცხვის 80%-ს თავად-აზნაურობა
შეადგენს, დანარჩენი 20% შეივსება სხვა წოდებისაგან. კო-
მისიას მხარს უჭერენ ქუთაისში მცხოვრები შეძლებული თა-
ვად-აზნაურობა და გუბერნიის მარშალი (თავმჯდომარე) ს.
ლორთქიფანიძე. უმეტესობა: გურია-სამეგრელოს და ლეჩხუმის
ლარბი თავად-აზნაურობა წინააღმდეგია ინსტიტუტისა. ეს ინ-
სტიტუტი, ბატონებო, — აცხადებენ ისინი-მხოლოდ სახელით
იქნება სააზნაურო, თორემ გაჭირვებული თავადი და აზნაური
ვერც ერთი ვერ შეიყვანს იქ შვილს და ძალა უნებურათ იძუ-
ლებული ვიქნებით ქუთაისელ ვაჭრებისა და შეძლებულ აზ-
ნაურების შვილები მივიღოთ. ქართული ენისთვის თუ აძლევთ
ინსტიტუტს უპირატესობას, ესეც შეცდომაა, რადგანაც გაკ-
ვეთილების რიცხვიც ცოტაა და, რაც არის, ისიც ფიქციით
გადაიქცევა, როგორც ეს დღეს გიმნაზიებშია. ჩვენ არ ვართ
არც სტიპენდიების მომხრე, რადგანაც იმით ისარგებლებს
მხოლოდ ქუთაისი, დანარჩენ მაზრებს კი არაფერი არ ერგება.
ინსტიტუტის პროექტმა, საერთოდ, დიდი კამათი გამოიწვია.
დ. დ ხანს ეწვალენ კომისიის წევრები, რომ მათ მიერ შემუ-
შავებულ პროექტის შინაარსი კრებისთვის გაეგებინებიათ.
დაიწყეს რუსულათ, მაგრამ უმრავლესობამ, ენის უცოდინარობის
გამო, ვერაფერი გაიგო. იწყებს თავმჯდომარე ქართულათ
განმარტებს; მაგრამ საუბედუროთ ისიც კოჭლი ყოფილა ქარ-
თულში, ვეღარ ათავებს და ბოდიშს იხდის, ნება მიბოძეთ
რუსულათ აგისხნათო. ასევე დომხალივით აურიეს რუსულ-
ქართული ჩვენმა ინტელიგენტებმაც. ამის გამო ოზურგეთელი
დეპუტატი ნ. თაყაიშვილი აცხადებს: „ბატონებო, ისეთი სა-
სწავლებელი დავაარსოთ, სადაც ამ ჩვენ ნასწავლ ყმაწვილებმა
ქართული ისწავლონ, თორემ უმეტესობას რუსული არ გვეს-
მის და რომ მკითხონ გურულებმა, ნიკო, „კრებაზე“ რა ილა-
პარაკესო, რა ვუბასუნო? აკაკის პროექტი სიტყვიერი იყო.
„თავად-აზნაურობას ბევრი საჭიროება აქვს, დაიწყო მან, მაგრამ
საჭიროებაც არის და საჭიროებაც; ზოგი მათგანი მოსათმენია,
ზოგი კი საჩქარო, აუცილებელი. ამ გვარ საჭიროებათ კი
ქალთა განათლება მიმაჩნია. ერის ცხოვრებაში საზოგადოთ
ქალებს იგივე მნიშვნელობა აქვთ, რაც ბარომეტრს ჰაერის
ცვლილებაში. თუ ქალები მაღალ საფეხურზე დგანან ამა თუ
იმა ერის ცხოვრებაში, მაშინ იმ ხალხსაც დარი უდგას, და
თუ დაბლათ არიან, ხალხის ცხოვრებაც იცარება.“ აკაკის სი-
ტყვას კრება ტაშის ცემით მიეგება. შემდეგ დგება ს. ხუნდაძე
და ასახელებს სამეურნეო სასწავლებელს. „ჩვენ ქართველები,
დაიწყო მან, მიწაზე ვცხოვრობთ (თითქოს სხვა ერები ჰაერში
ცხოვრობდნენ); ჩვენი დედა-ბოძი ჩვენი მიწა-წყალია და თუ



დროზე არ შევეშველეთ, ხელიდან გამოგვეცლება და მაშინ დედთან შეიღებინათ ქუჩაზე გამოგვეყრიან. ამიტომ აუცილებელ საქმეებთან მიმართებაში სამეფურნო სასწავლებელი“-ო. ბოლოს სოფელი დეპუტატი ვ. ლორთქიფანიძე თხოულობს არსებულ ქუთაისის სააზნაურო სკოლის საშუალო სასწავლებლათ გადაკეთებას, რადგანაც იქ საშუალება აქვთ და შემდეგაც ექნებათ გამოზარდონ შეიღები იმით, ვისაც უფრო ეჭირება დახმარება, ე. ი. სოფლის ღარიბ თავად-აზნაურობასო.

როგორც დავინახეთ, ყველა შემოხსენებული პროექტები თავს იყრის ორ უმთავრეს პრინციპში: სასწავლებელი და სტიპენდიები. აპირებენ კენჭის ყრას, რათა კრებამ აირჩიოს ან ერთი, ან მეორე. კრება არც ერთს არ იღებს, — ნაჩქარე იქნება; ირჩევს კომისიას (მაზრიდან ორ კაცს) და მას ანდობს ორივე კითხვის შემუშავებას. შემუშავებული პროექტები ენკენისთვის პირველ რიცხვებში კრებას წარედგინება და ისიც აირჩევს რომელიმე მათგანს. ამით გათავდა ოცი ათასი მანათის საქმე. რამდენიმე არა-საყურადღებო კითხვების განხილვის შემდეგ გარეშე პირები გარეთ გაისტუმრეს და რწმუნებულთ ყუთები დაუდგეს. ასარჩევი იყო 105 რწმუნებული ბანკის დამფუძნებელთა შორის, რწმუნებულთა რიცხვი მთლათ 210, რომლის ნახევარი (ქ. ქუთაისის მესხებლებისაგან) უკვე ამას წინათ აირჩიეს. მესხებელთა რწმუნებულთ შორის, როგორც აქ იტყვიან ხოლმე, „კალისტრატეს“ მომხრეები ჭარბობენ, დამფუძნებელთა დეპუტატებს კი ვერც წოდებული ოპოზიცია შეადგენს უმეტესათ.

Parole.

შაქროს ალსაკიბა.

(ამბავი).

I.

სალამოს ცხრა საათი იქნებოდა... წკებლის ქნევითა და ღიღინით გაეშურა სანდრო ბელურაძე საზაფხულო ბალისაკენ და მალე თეთრ სუფრა გადაფარებულ მაგიდას მოუჯდა. ბაღი ხალხით იყო სავსე, მაგრამ ელექტრონიკთა გაკაშკაშებულმა ლამპრებმა თვალი აუჭრელეს სანდროსა და პირველ ხანათ თითქმის ვერაფერს ვაარჩია მაგიდასთანვე ახლოს მდგომ მსახურის გარდა.

— ბიჭო!.. მედიდურათ შეუძახა სანდრომ მოსამსახურეს, ქუდი მოიხადა, შუბლსა და უღვაშებზე ხელი გადაისვა და მოსვირნეთ თვალღერება დაუწყო.

— ბატონო!..

— სია მომიტანე. პირ-უკუღმა უბძანა სანდრომ და მსახურისათვის არც კი შეუხედნია.

— ინებეთ, ჩემო ბატონო. მოკლეთ უთხრა ლაქიამ და, თითქოს ჯიბიდან ამოიღოვო, ფიცარზე გაკრული სია საქმელებისა თვალის დახამხამებაზე თავაზიანათ გაუწოდა.

სანდრო იდაყვებით დაეყრდნო მაგიდას და შუბლ შექმუხვით დაიწყო საქმლის ამორჩევა. რამდენჯერმე ააყოლო-ჩააყოლა თვალი ხის ფირფიტასა და სახის ისეთი ბრძნული გამომეტყველება მიიღო, გვეგონებოდათ ქვეყნის გადაბრუნებაზე ფიქრობსო. ილღიაში ხელ-სახოც ამოდებული ლაქიაც დიდისავე მოთმინებით შეყურებდა ალექსანდრეს და თვალითა ზომავდა.

ძვირფას ტანისამოსში გამოწყობილი ბელურაძე ახოვანი შეხედულობის ვაჟ-კაცი იყო. ბამბის-ქულა ხელები მთვარესავით დამაღვოდა შუბლზე წამოხრილ ხუჭუჭა შავი თმის ქვეშ და შავი, კონტა უღვაშები ისე გაეწკინა, თითქო დაცინის ვისმეო, უმტვერო ქალღივით თეთრი, გახამებული პერანგი მოხდენით შემოდგომოდა მის გულ-მკერდს და ბროლივით სუფთა სახე უმტკიცებდა მდიდრულ და უზრუნველ ცხოვრე-

ბასა.

— მხათა გაქვთ? აბა ჩქარა... ყრუთ უთხრა სანდრომ მოსამსახურეს და სიის ორ ადგილზე მიუთითა.

— კი, ბატონო, რაფა არა... ამ წუთში მოგვამყვით ნეტარის ღიმილით ჩამოართვა სიტყვა მსახურმა და ნაპერწკალივით მოწყდა იქაურობასა.

სანდრომ ხელ-სახოცი მოიმარჯვა, ფეხი ფეხს შემოიღო და ვახშმის მომლოდინე ნებიერთ მიესვენა სკამის ზურგსა ირემივით ატრიალებდა ბელურაძე დიდრონ შავ თვალებს და ბროლის თითვით უღვაშებს ნახათ იწიწკნიდა. დრო გამოშვებით გაფანტვით მიმოავლებდა ხოლმე თვალს მოსვირნე ხალხსა და ნაცნობ ქალების დახახვანებულ ანგარაშ მიუცემლათ იღიმებოდა.

უაზროთ დაფროტილებდენ მოსვირნენიც. ნაცნობები ერთი-ერთმანეთს მარიდებით სალამს აძლევდენ, თავებს უგემურათ აკანტურებდენ და გზა-აბნეული წეროვბივით ერთსა და იმავე ადგილზე დატრიალებდენ.

დრო გადიოდა. მალა, ცაზე, მთვარე ვარსკვლავებს კეკე-მალულობას ეთამაშებოდა, — მალიმალ ღრუბლებს ეფარებოდა, ძირს ქალაქი კი თანდათან ყრუთა ვმინავდა. სამაგიეროთ ბაღში — მალე გაისმა საკრავის ხმა. ხალხი ერთ ადგილას შეტბორდა. მერე ჭილყავებვით შემოაუსნდა მაგიდებს და სულ განაბულმა დაუწყო მზერა ბალის ერთ კუთხეში გამართულ სცენაზე მომღერალ ქალებს. სანდრომაც საინები განზე გაწია, მაგიდაზე ნახევრათ წამომხართმოდდა, ცალი ხელით დოინჯი შემოიღვა და გატაცებით დააცქერდა მომღერალ ქალთა სცენაზე კოწიანსა და კეკელობას.

— ბრავო, ვაშა... ვაშა... ბის! ახმაურდა ცოტახნის შემდეგ ხმა გაკმენდილი ბრბო და ყანასავით რხევა დაიწყო.

— „მე თქვენ მიყვარდით და მეყვარებით!“ მეთასეთ დასძახოდა სცენიდან ნახევრათ გატიტვლებული მომღერალი ქალი და თვალებიდან ნაპერწკლებს ისვროდა.

— ოჰ, ოჰ, ოჰ, ოჰ! გუგუნებდა მთელი ბაღი და დოინჯი შემოდგმულ ბელურაძეც სიამოვნებითა დნებოდა...

II.

ბაღში მყოფ ბედნიერთა და მადლართა შორის, ერთი მშინერი, აბრანძული და ყველასაგან დავიწყებული კაციც ერია. იგი ბინდ-ბუნდისასვე აჩრდილივით შემოიპარა ამ ბაღში და ხშირ ბუჩქებში მდგომარე განმარტოვებულ სკამზე დაეგდო. მთელი სამი-ოთხი საათი უმოძრაოთ გაატარა ამ სკამზე და მწარეთ დაფიქრებული რაღაცა საგონებელს მიცემოდა. ვინ იყო, რა ჯავრი ქონდა ან საიდან მოვიდა ეს კაცი — არავინ იცოდა და თითქმის ვერც ვერაფერს იცნობდა, თუნდა ახლავე ხალხში გამოსულიყო და დანახვებოდა მოღიზღივ ბრბოსა. არამც თუ თავ-დავიწყებამდის მისული ბრბო, არამედ ხშირათ თანშეზრდილიც კი ველარ იცნობს ხოლმე საზოგადოებისაგან ოწყვეტილ და გავერანებულ ადამიანსა!

მომღერალთა და მსმენელთა ჟივილ-ხივილმა და ტაშის ცემამ მიხდწია უცნობის ყურამდისაც და შავი ფიქრებიდან ნელ-ნელა გამოარკვია. იგი ნაბეგვი ვეფხვივით ზღაზენით ზეზე წამოდგა, აბურძგენილ თმებზე ხელი გადაისვა, ქუდის ნაგლეჯი თვალებზე ჩამოიფათა და ყრუ ხეივანში რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა.

მომღერალ ქალის ხმის რაკრაკი, როიალის ქვითინი, ბაღში მყოფთა აღზნებული გუგუნე და გაკრევილ ხეების სიოსთან ლაზღანდარობა, საოცნებოთ, სალადობოთ იწვევდენ ადამიანსა, მაგრამ გონზე მოსულ უცნობს კი ლახვარავით უვლიდა გულში ეს ხმები და ისედაც ბრაზ მორეულს უარესათ აბრაზებდა.

— რათ, რათ მოვსულვარ აქა! სასვირნოთ თუ! გესლია-

ნათ წაიდუღუნა უკნობმა, ფეთიანფით შემოტრიალდა და გასავალ კარებს მიაშურა. მარდათ გაიბრინა ერთი ხეივანი, მეორე, — ხალხის გროვას უფრო და უფრო უახლოვდებოდა, ელექტრონის სინათლეს თანდათან უპირდაპირდებოდა, ცოტა კიდევ და გაერევოდა ხალხში, მუჯლუგუნებით გზას გაკაფავდა, მაგრამ მოვიდა თუ არა იმ პატარა მოედანთან, სადაც ათას მილეთის ხალხს თავი მოეყარა, უცბათ თოფ-ნაკრავივით შეჩერდა.

ხალხთა გროვამ, ელექტრონით გაკაშკაშებულმა ლამპრებმა, სიცოცხლის რაღაც ძალამ, რომელიც უხილავათ დასტრიალებდა მიდამოს, შეკრეს, შებოქეს გასაქცევით მომზადებული ადამიანი და თავისდა უნებურათ იქვე მდგომ ხეს აეყუდა. დიდხანს უმზირა უცნობმა ხალხსა, დიდხანს ათვალიერა მოღიმარ-მოცინარი ბრბო და სურვილი მათის ცქერისა უფრო და უფრო უცხოველდებოდა.

— ეჰ, ეჰ! დრო გამოშვებით გმინავდა უცნობი და მწარე მოგონებათა სურათები, ერთი ერთმანეთზე, განუწყვეტლივ თვალწინ ეხატებოდა. გრძობა და აგრულისა, გრძობა ყველასაგან დავიწყებულის და დამცირებულის ადამიანისა ნისლივით გულზე შემოაწვა და თვალეში სიმწარისა და შეურაცყოფილობის ცრემლები მოადგა.

— ბრავო, ბის... ბის!.. ისევ ისევ გრიალებდა ხალხი და სცენაზე ყვავილების თაიგულებს ისვროდა.

— მიხედვ, ბიჭო! აბა ღვინო, აბა ქაქები! სუფრა გაასწორეთ. ჰა ჩქარა! ხმა დაბლა, მაგრამ ბრძანების კილოთი დახინებდა ბალის პატრონი მოსამსახურეებს და ერთ ადგილას გაჩერებული სიამოვნებით ხელებს იფშვნიდა.

ამ ჟამათ ყველა კმაყოფილი იყო თავის თავისა, მხოლოდ ხეზე მიყუდებული უცნობი თვალეებს გიჟი მოზვერავით აბრიალებდა და თავისს გულის თქმათ ეჩხუბებოდა.

— აგერ ვანო, აგერ მიხა... ვასო... დათა... ყველანი, ყველანი აქა ყოფილან... ბუტბუტებდა უცნობი. მე ვიცნობდი მაგათ, ეგენიც მიცნობდენ. ოდესღაც მეც მაგათში ვერიე. მეც ვცხოვრობდი, მიყარდა სიცოცხლე, ხალხა, ადამიანები, ახლა კი... ახლა კი ყველა მეჯავრება, ყველა, ისე, როგორც ჩემი თავი, მე ხოპ, მე ხომ... აღარ დაათავა ფიქრი უცნობმა და სიმწარისაგან ყრუთ დაიბლუვლა.

— დეილუბე აქედან! შეძახე ერთმა მსახურისაგანმა, ხესთან აყუდებული დაძინძილი კაცი რომ დაინახა, და ფეხები დაუბრავუნა.

— ხა, ხა, ხა! გიჟივით ჩახიბითხითა უცნობმა და ლაქიას აღმოცვრათ შეხედა.

— დეილუბე-თქვა! კვალათ დაუყვირა ლაქიამ და ხელი ჰკრა.

უცნობი გაშრა, გაფითრდა, რაღაც წაიბურტყუნა და ანძახე აგებულებით გაიძაფა. მარტო თვალეებს, საშინელ თვალეებს და აბრიალებდა.

— ჰმ! გულ მოკლულათ ამოიკვნესა ბოლოს უცნობმა და ბნელაში ჩამოადგა. აქედან უფრო კარგათა ჩანდა ხალხი. აქედან უფრო ბევრის გათვალისწინება მოუხდა გულ-გონება აფორიაქებულ უცნობსა: ზიზღი და მწუხარება, სიბრალული და სიყვარული, იმედი და უიმედობა, თანაგრძობა და შურის ძიება — ერთბაშათ, ერთი გზით მოაწვა გულზე და მთელი მისი არსება მოშხამულივით იხლაკებოდა. ხელის-გულსავით გადაეშალა გონების თვალწინ მთელი ცხოვრება, ხოლო ამ ცხოვრების შემქნელი ხალხი კი აგერ მის გვერდით იყო.

— ხალხი!.. განა ხალხის გარეშე არის რამე? განა ხალხი არ არის მატარებელი ყველა ავისა და კარგისა? განა ხალხს არ შეუძლია ჯვარს აცვას ადამიანი, გააფურთხოს და შეაგინოს იგი? განა იგივე ხალხი მუხლს არ იღრეკს ჯვარცმულის

წინაშე? სად, სად გარბინარ უბედურო ჩემო თავო, რათ არ გამობ შენს ავსა, რათ არ ეტრფი მოსვენებასა, კვალად გაადამიანებასა, მაგრამ... მთიდან დაგორებულს წვეკს რალა შეაჩერებს, მოკლულ გულს ვინდა გაატრავს და კარგულ იმედს ვინდა დამიბრუნებს... ესენი ხომ არა?! გესლიანათ დაბოლოვა უცნობმა და გულ-გონება ამდგრეულს ხან უნდოდა: აფლო სკამი, დარეოდა ამ უღარდელათ მოქეიფე ნაწილს ხალხისას, დაეშინა ყველასათვის თავსა და პირში, ჩამოგდო აურზაური და ჩხუბი, ხან კი... სწყუროდა გამოლაპარაკებოდა თავის ნაცნობებს, მათთან ძველებურათ გულახდილათ ესაუბრნა, ეხუმრნა, ეცინა გართობილიყო ხან ბოღმა და ვარამი გაუბედურებულ ადამიანსა აღრჩობდა და სისხლს უმღერედა, ხან კი გულის თქმა ყოფილის მეოცნებებს, ღმობიერება სხვისთვის თავ-დადებულის ადამიანის ამშვიდებდენ მას და ამ დროს მზათ იყო დამხობილიყო პირქვე და ეტირნა იმდენი, ვიდრე არ განიწმინდებოდა პირუტყვულის ქვენაგრძობებისაგან.

— ოხ, თქვენი ჯავრით სავესსა! კვენსდა ერთ ხანს ცხოვრების სიავით გამწარებული უცნობი და სიბრაზით თითებს იკვნეტდა.

— ხალხნო, ადამიანნო!... ბუტბუტებდა ახლა სიკეთის მოგონებით გარბილებული, — მიმცლეთ, მიმიღეთ, დამეხმარენით. მაგრამ ადამიანი!... დაბოლოვა რაღაცა მწარე მოგონებით აზვირთებულმა უცნობმა და იმ ხეს, რომელსაც ამოჭვარებოდა, ისეთი მუშუტი შემოჰკრა, რომ ყრუ ბაგუნმა კვლავ მიიპყრო ლაქიის ყურადღება.

— კიდევ აქნაი ხარ შენ, დასკვივლა ლაქიამ.

— ჰმ! მწარეთ ჩაიციანა უცნობმა.

— ზურნა! დაიკარგე აქედან!

— ადამიანი ხარ შენა? მოულოდნელათ დაეკითხა უცნობი ლაქიას და სახის ისეთი მკაცრა გამომეტყველება მიიღო, რომ მეტო ღონე არ იყო, ლაქია უნდა გამოლაპარაკებოდა.

— ადამიანი ვარ, მა რაი ვარ! გაიკვირვა ლაქიამ.

— მერე იცი კი, რა არის ადამიანი? კიდევ დაეკითხა უცნობი.

— იმე! რავა არ ვიცი! ადამიანი... ადამიანი...


— უვიცი, უწრთენელი ადამიანი, ორ-ფეხა ცხოველი, ყველა ცხოველებზე უკმეხი და გაუტანელი, ხან პირუტყვზე უფრო ყურ-მოჭრილი მონაა და ხან კი აფთარზე უარესი სისხლის მსმელია! გულის მოსაფხანათ, ნათქვამ-ნაგრძობის სიტყვიერათ გამოსათქმელათ ხმა მალლა სთქვა უცნობმა, მერე სიბრალულის თვალით დასცქერდა ლაქიას და მწარეთ, ხანგრძლივით გადიხარხარა.

— ხა, ხა, ხა! ხახინებდა დაუსრულებლივ, კვენსოდა, გმინავდა და გულში ხელს იბრავუნებდა.

— გადარეული ყოფილა ეს დასაღუბავი! ცოტა არ იყოს შეშინებით წამოიძახა ლაქიამ და უკან-უკან ყურებით სანდროს მაგიდასთან მივიდა. უცნობმა თვალი გააყოლა ლაქიას და სანდრო რომ დაინახა, გაოცდა.., გაშრა.

— სანდროა?! დაეკითხა უცნობი თავის თავს და თვალე-ბათ გადაიქცა.

— ის არის, ის! ჩემი ერთგული სიყრმის მეგობარი, ჩემი ამხანაგი! ნაწყვეტ ნაწვეტათ-წამოიძახა უცნობმა, მერე პირთან გაკვირებით თითი მიიტანა, ერთხელ კიდევ ამოიკვნესა, ისე გულ-მოკლულათ, ისე მწარეთ, გვეგონებოდათ ამ ამოკვნესას უუწმინდესი თავისი გრძობა ჩაქსოვაო და თვალის დახამხამებაზე სანდროს მაგიდასთან გაჩნდა. აღარც დამცირება, აღარც ბრბო, აღარც ელექტრონი, აღარც ლაქია აღარაფინ, აღარაფინ იმ ჟამათ მისთვის აღარ არსებობდა, სიყრმის, მისა



თვის უკეთესის დროის ამხანაგის დანახვამ ყველაფერი გადავიწყა. სამი ოთხი წლის გაველურებულ, მიტოვებულს და საზოგადოებისაგან განდგომილს ადამიანს ადამიანური თანაგრძნობა მოსწყურდა.

ბულურაძემ რომ თავის წინ გახუნებული კაცი დაინახა, პირველათ აქეთ იქით მიიხედ-მოიხედა, მერე გაკვირვებით აათვალიერ-ჩათვალიერა ახლათ მისული, რომელიც ყვავის ბახალასავით მის წინ აბუზულიყო და ერთხელ კიდევ შემოაფლო თვალი მეზობლებს. სანდროს გარშემო დიდი ცვილილება არ მოხდარა: იქვე, სანდროს ახლოს მჯდომარე, სახე შექარბლებული შლიაპოსანი ისევ ისე ღიმილით ელაპარაკებოდა ვიღაც ქონათ გარდაქცეულ კაცს. კაცი იგიც მსუბუქ კატასავით შესტქნაოდა ალენილ ქალსა და ვნება მორეული საბერველივით ქმინავდა. დანარჩენი მეზობლებიც ერთგულათ ავსებდენ ქაქებს, აჩხაკუნებდენ დანა-ჩანგალს და მუსაიფობდენ. მხოლოდ რამდენიმე შეხედა აბრანძულ კაცს, აიბრინენ ჭუჭყიანი ადამიანის დანახვაზე და პირი მოარიდეს...

— სანდრო, ალექსანდრე... კაცი... ბიჭო... ამხანაგო, ველარ მიტანი?... გაუბედავთ დალულულულებდა თავზე გასტერებულ სანდროს უცნობი.

— ბიჭო, შაქრო, შენა ხარ! როდის, როდის წამოიძახა სანდრომ და ამ სახელის ხსენებაზე უტბათ მთელი თავისი წარსული წარმოიდგინა, მიხედა, რომ მის წინ იღვა აჩრდილი მისი ძველის ამხანაგის, მასთან შეზრდილი შაქროსი, თუმცა სახე დათეთქვილა, თმაწვერ აბურძგენილი შაქრო ახლა შეშლილს უფრო ჰგავდა, ვიდრე იმ შაქროს, რომელთანაც თავისი სიყმაწვილე გაატარა, რომელიც ერთ დროს ძმასავით უყვარდა და ჰმეგობრობდა.

— შენა ხარ, შაქრო? კიდევ შეეკითხა სანდრო, თითქოს თავის თვალებს არ უჯერებო.

— ჰო, მე ვარ, მე! ამოიკვნესა შაქრომ და სანდროს გვერდით მდგომარე სელის სკამზე მოჭრილ ხესავით დაეშვა. მუხლთ მოეკვთა, სახე უარესათ გაუფითრდა და მომაკვდავს დაემზგავსა. ეს იყო შედეგი შაქროს აზვირთებული გულის-თქმისა, ეს იყო ბოლო მთელი დღის შაეი ფიქრებისა. წელანდელი მდევრი, წელანდელი ლომი და ამღელვარებული ზღვა ფიქრთა დენისა, ახლა მჩვრათ გარდაქცა, აყროლებულ, დახავსებულ გუბეს დაედარა.

შაქროს გარშემო ჩოჩქოლი შეიქმნა.

— ვინ არის, საიდან მოთრეულა, გადასძახა ბალის პატრონმა ლაქიებს. გააგდეთ მანდიღან.

— Фи, гадость какая! წამოიძახა შლიაპოსანმა და სკამი მსუქანი კაცისაკენ გადაიდგა.

— საღ გაღეშილა, აი ოჯახ-ქორი! ჩაიცინეს ლაქიებმა და აქეთ იქითგან შაქროს ხელი წაატანეს.

— Боясь! ვითომდა იოხუნჯა ქონით გარდაქცეულმა კაცმა და თავის დამას მუსლზე ხელი მოუცაცუნა.

სხვებიც ახმაურდენ. მარტო სანდრო ვერაფერის თქმას ვერ ახერხებდა. გაშტერებული, გამშრალი უმოძრაოთ დასდგომოდა თავზე გულ შეღონებულ შაქროს და ენას ვედარ იბრუნებდა. ელექტრონის ლამპრები კი ნაზათ ციმციმებდენ, თითქოს ხალხის ჩოჩქოლზე ეცინებათო, და გულგრილათ ანათებდენ იქაურობასა.

(შედეგი იქნება)

ს ა ზ ღ ვ ა რ გ ა რ ე თ .

ივანისი. ბრაუნსკი დადის ხეობი, თითქო კიტხენურის მიერ ბურებისათვის წარდგენილი ზირობები შემდეგ მუხლებს შეიცვალეს:

1. დამოუკიდებელი ზარდაშენტი, ან ჰომრული.
2. შეამბოხეთა ზატეობა შეფის დეკრეტით.
3. ახლათ დაარსებულ მთავრობის საბჭოში ჩანს წყვეტ-სისხის ტრანსვაალის წარმომადგენელი, ორიც ორანჟის რეჟიმის წარმომადგენელი.
4. 80 მილიონი მანეთი ეძლევა ტრანსვაალს, 40 მილიონი მანეთი ორანჟეს რესპუბლიკას და სხვადასხვა ფერმების აღსადგენათ.
5. კონფისკაციის შესახებ გამოცემულ დეკრეტების გაუქმება.
6. სულ ყველა ტყვეების დაბრუნება. ბრაუნსკის ზოლიტიკურ წრეებში არ სჯერათ, რომ ეს მართლა იყოს. მათა აზრით, კიტხენურის-მიერ წარდგენილი ზირობები კაცილებით უფრო ნაკლებს ზირობებს ბურებს.

— ღირსი უფლისციკი დაბრუნდა სამხრეთ აფრიკიდან. უფლისციკიმ თქვა: ბურებს ჩემზე ისეთა ჩათბუქდილება მოახდინეს, რომ ისინი მზათ არიან იბრძოდენ უკანასკნელ სისხლის წვეთამდეო. მე არ მკნია, რომ ისინი შეურიგდენ ინგლისს, სახამ მოხანს არ მაღწევენო.

საზრახვეთი. დამატებითი არჩევნების შემდეგ გამოირკვა, რომ ახლ ზაღატას შეადგენენ 50 კონსერვატორი, 59 სენიონალისტი, 99 სემინისტრის წინააღმდეგი რისპუბლიკელი, 111 რესპუბლიკელი, 129 რადიკალი, 90 რადიკალ-სოციალისტი, 43 სოციალისტი და 4 გედაისტი, სულ 585.

პარიზის უნივერსიტეტი და მისი სამეცნიერო ფაკულტეტი.


ამ უკანასკნელ დროში, როგორც ეს ჩანს ჩვენ მიერ ზოგიერთ ახალგაზდებისაგან მიღებულ წერილებიდან, ჩვენ მოხარდ თანამოაზრ იმატა საზღვარ-გარეთ სწავლის გაგრძელების სურვილმა. დიდი სიამვნებით ვუკვებებით ამ მოკლენას და გვსურს შედეგებისა და გვარათ დავესმაროთ ჩვენ ახალ-გაზდა ამხანაგებს გზის გაკვლევაში აქურ სასწავლებლებზე ზოგიერთ ცნობების მიწოდებით. დავიწყოთ უნივერსიტეტით: პარიზის უ-ტი შედგება ოთხი ფაკულტეტისგან: სამეცნიერო ფაკულტეტი (faculté des sciences), სსსიტუიერო მეცნიერებათა ფაკულტეტი (faculté des lettres), იურიდიული ფაკულტეტი (faculté du droit) და სექსიმო ფაკულტეტი (faculté de médecine).

აგრეთვე უნივერსიტეტს აკრავს ეგრეთ წოდებული l'école des hautes études, რომელიც განიფიფებს ორ ნაწილათ: des Hautes études des sciences historiques et philologiques, და des Hautes études des sciences morales. ჩვენ ყველასვე უკეთ ვინობოთ სამეცნიერო ფაკულტეტს და მის დასსიათებსა შეუდგებით. სხვა ფაკულტეტებს თითქმის არ შეეყვები: ჩემი ამხანაგები, რომელნიც უკეთ იცნობენ მათ იმედია, არ დაიხარებენ თავის მსრივ მოგაწოდონ მათ შესახებ ცნობები.

სამეცნიერო ფაკულტეტში მოთავსებულია სამი ჯგუფი მეცნიერებათა: ა) წმინდა მათემატიკური ასტრონომიით, მექანიკით და მათემატიკური ფიზიკითურთ, ბ) ფიზიკა-ქიმიური (სასოფლო ფიზიკა, ქიმია და ფიზიკური ქიმია) და გ) საბუნებისმეტყველო (გისტოლოგია და მიკროსკოპიული ანატომია, ზოოლოგია, ბოტანიკა, ფიზიოლოგია, გეოლოგია, ფიზიკური გეოგრაფია და მინერალოგია).

ამავე ფაკულტეტს აკრავს: ა) პრეპარატიული ქიმიის სკოლა (l'école de chimie appliquée), სამი წლის კურსით; ბ) ეგრეთ წოდებული მესამეხადებელი ფიზიკა-ქიმიური და საბუნებისმეტყველო კურსები (l'enseignement préparatoire des sciences physiques, chimiques et naturelles) (P. C. N), ერთი წლის კურსით და გ) ევოლიუციონურ მოძღვრების განსამარტებლათ ცალკე დაარსებული ინსტიტუტი (l'laboratoire de l'évolution des êtres organisés).

აი, რა ეშლება წინ ახლამოსულ სტუდენტს. ის თავისუფალია



სიძინის, რა ჯგუფიც ან რასაგნებიც უნდა, თუნდაც რომ ეს სს-
გნები სსვა-და-სსვა ჯგუფებიდან იყოს. მას არ ახრის სელში არა-
ვითარ სავალდებულო პროგრამას. სარჩევი ფართო და უხვია, — მო-
ბძანდით და აირჩიეთ ის, რაც თქვენ უფრო გაინტერესებთ. თქვენ
შეგიძლიათ, თქვენი მოთხოვნებისა — დაგვარათ, ამ სსგნებიდან თქვე-
ნი სისტემატიური პროგრამა შეადგინოთ და შეასრულოთ იგი ისე,
როგორც თქვენ ეს სუვეთესით მიგანიათ. არც წლის ბოლოს და-
ნიშნული სავალდებულო გამოცდები, არც შიში იმისა, რომ ვაი თუ
„კურსზე“ დაგნეო (წარმოადგინეთ, აქ არც კი იმარება ეს სი-
ტუვა „კურსი“); თქვენ არ შეგიძლიათ ხელს მოიუჯანოთ ეს პროგ-
რამა სისრულეში.

წლის ბოლოს ინიშება გამოცდები უველა სსგნებში, მაგრამ ეს
გამოცდები სავალდებულო კი არ არის, არამედ ფაკულტატიურია: თქვენ
თუ გსურთ და თუ გრძნობთ თქვენ თავს სსკამათ მომზადებულათ, მი-
დისართ ეგზამენზე. ამ სსხით აქ ეგზამენები ხდება თავის გამო-
ცდის სსუვეთეს სსშუალებათ, თუ რამდენათ სსფუქვლიანათ შეგი-
თვასებათ თქვენ სსგანი, და არა სსკანსობათ, სსდაც მიერეკებათ სს-
ჩესათ ფერ-მინდილ ანაღვანდობას. ამისა და გვართ თვით ეგზა-
მენებსაც შეტი სერიოზული ხასიათი აქვს. მაგალითათ, ფიზიკაში
თქვენ უნდა მისცეთ ოთხი ეგზამენი: ერთი სიტუვიერი, მეორე წერი-
ლობითი, მესამე ფიზიკური გამოცანა (le problème) და მეოთხე ბრა-
ქტიული ლაბორატორიაში. ეგზამენს რომ დიჭერთ, გაძლევენ ამის მო-
წმობას (certificat des études); რცა მაგვარი მოწმობები გქნებათ
სსში (ე. ი. რცა სსმ სსგანში, თქვენ მიერ ამოწმებულში, ეგზამე-
ნები დაჭირეთ), მსშინ თქვენ მოგეტემათ უველი სსსსისიეს (licence)
ხარისხი; თუ გინდათ დოქტორის ხარისხიც მიიღოთ, მსშინ უნდა
წარადგინოთ რომელიმე სსგანში ტეზა (დისერტაცია; თუ ფაკულტე-
ტი თქვენს ტეზას მოწმობებს, ინიშება დისპუტი და თქვენ უველი
ამის შემდეგ გაძლევათ დოქტორის დიპლომა.

შეგიძლიათ უნივერსიტეტში დარჩეთ, რამდენ ხასსაც გსურთ.
როგორც ხედავთ, აქ სრული აკადემიური თავისუფლებაა და თქვენ
ბატონი ხართ თქვენი თავისა.

ქიმიას კითხულობს სსში პროფესორი. ორი სსზოგადო ქიმიას
და ერთი ფიზიკურს. სსვათ შორის სსზოგადო ქიმიას კითხულობს
გამოჩენილი პროფ. მუასსანი. გარდა ლექციებისა აქ არის ეგრეთწოდ-
ებული კონფერანსები, რომლებსაც ერთი მსრივ პროფესორი უფ-
რო ვრცლათ განმარტავს იმ კითხვებს, რომლებსაც სსზოგადოთ შე-
ესო ლექციებზე, და მეორე მსრივ სტუდენტებთან ბასში ირგვეს;
თუ რამდენათ გაიგეს მსმენელებმა ნათქვამი. ამას დიდი მნიშვნელო-
ბა აქვს: ეს ბასია ანაღვანებებს შეცნიერებაში ჯერ გამოუცდელ და
ნორჩ სტუდენტს დასჯილავებულ ოსტატთან (maître). თქვენ და-
ურიდებლათ შეგიძლიათ შევეითხოთ პროფესორს, რასედაც გსურთ,
თხოვთ დარიგება და ხელმძღვანელობა თქვენს შეცადინებობაში. აქ
ამ ბასის დროს ირგვნება ის კავშირი, რომელიც შემდეგში ქმნის
სტუდენტთან მომავალ შეცნიერს.

ამსთანავე თქვენ ხელშია სსუცხოვით მორთული ლაბორატო-
რიები და წიგნთ-სსცავები, სსდაც თქვენ შეგიძლიათ დარჩეთ და იმე-
ცადინოთ; ამის გარდა კიდევ არის უველა ფაკულტეტებისთვის ცალ-
ცალკე სსშუაო დარბაზები, სსდაც თქვენ იშოვით სსჭირო სსსემ-
ძღვანელებს. ერთი სიტუვიით, ოდონდ სურვილი იყოს შეცადინებო-
ბა, თორემ ხირობები ფართოთ ხელს გიწეობენ და არ გიხუთავენ
სულს და გულს.

ჩვენ მოვიხსენიეთ, როგორც ხაწილნი სსშეცნიერო ფაკულტე-
ტის, ქიმიის ბრაქტიული სკოლა (l'école de chimie appliquée),
მოსამზადებელი სკოლა ფიზიკა-ქიმიურ და სსბუნებისშეტუველო სს-
გნებში (l'enseignement préparatoire des sciences physiques,
chimiques et naturelles) და ევოლუციონური ინსტიტუტი
(laboratoire de l'évolution des êtres organisés).

ბრაქტიული ქიმიის სკოლაში დებულობენ უველას, ვისაც აქვს
სტესტატი სსშუალო სსწავლებლის, განურჩევლათ მისი ხასია-

თისა. ხასდასან დებულობენ უსტესტატოთაც, მაგრამ თუ წლის გ-
ნმავლობაში შეგიძინდს შეატუვეს მოუმზადებლობა, ითხოვენ სკოლი-
დან. კურსი სკოლისა სსში წლისაა. სწავლა შედგება შემთავნისა
ლაბორატორიებში მომზადებისა და ზოგიერთ თქვენივე კურსებში
დას ინდუსტრიულ ქიმიასში. შეგიძინდს აქვს სრული უფლება იაროს
ფაკულტეტის უველა თეორიულ კურსებზე და ქიმიის კონფერანს-
ებზე, რასაკვირველია, ისარგებლოს წიგნთ-სსცავებითაც.

ბირველ წელიწადს გდინ თვისებითი (ან არსებითი) ანალიზის
(качественный анализ), მეორე წელს ოდნობითი ანალიზის (ко-
личественный анализ) და ამსთანავე ანაწილებენ სსვა-და-სსვა
მანუელეობებსა, მესამე წელს ანაწილებენ სსვა-და-სსვა ინდუსტრია-
ში გამოსადეგ მასლებს და ამსთანავე ხელაფურათ, სისტეტიურათ,
ამზადებენ ინდუსტრიულ ნავთიერებებს.

სწავლა იწეება ბირველ ნაკმბერს და თავდება 1 აკვისტოს.
არც ეგზამენება და არც სსვა მაგვარი რამე. მხოლოთ წლის განმავ-
ლობაში ვადებუელი ხართ ანგარიში აძლიოთ ლაბორატორიის უფროსს
თქვენს სსლაბორატორია ნამუშევარში, და ამისა დაგვართ გაძლევათ
უველ წლის ბოლოს მოწმობა (certificat des études).

ეს სკოლა ძენს კაცს ბევრ ცოდნას და ხელაფურას ქიმიურ ანა-
ლიზში; ისე, რომ ბევრი ქიმიკოსები იწეებენ ამ სკოლით, რომ სს-
კამათ გაიწერთნენ ანალიზებში, და მეორე გადადინ ფაკულტეტის
ეგრეთ წოდებულ სსშეცნიერო გამოკვეყვის ლაბორატორიაში *) —
(laboratoire des recherches scientifiques). სწავლაში ანდე-
ვინებენ 500 ფრ. წელიწადში.

მათთვის, ვისაც უნდა ბრაქტიულით შეისწავლოს სსგანი და მე-
რე ეს ცნობრებაში გამოიყენოს, სკოლა დაუფასებელი განძია.

მოსამზადებელ კურსებში (l'enseignement préparatoire des
sciences physiques, chimiques et naturelles (ანუ P. C. N.)
ერთი წლის განმავლობაში სსზოგადოთ მოკვლეთ გდინ ზო-
ლოვანს, ბოტანიკას, ქიმიას და ფიზიკას. ამ დაწესებულებას აქვს
თავისი სსშეცნიერო კაბინეტები და ლაბორატორიები. აქურ სსქიძო
ფაკულტეტზე არც კი მივიდებენ, თუ ამ სკოლის გათავების მოწ-
მობა არა გაქვთ.

ეს სკოლა, როგორც მოსამზადებელი სსწავლებელი, ძალიან სსჭი-
რია ჩვენი ანაღვანდობისთვის. ჩვენში სსშუალო სსწავლებელში თითქ-
მისარც კი გდინ ამ სსგნებს, ასე რომ ძნელი იქნება მათთვის ბირ-
დაბირ მიეზ ხელი შეცნიერების შესწავლას; ამ სკოლაში ერთ
წელს ეოფნით-კი სსკამარისათ მოუმზადებინ სერიოზულ
შეცადინდობისთვის და უფრო შეცნებულათაც აირჩევენ სსგნებს იმ
ვრცელი მასლიდან, რომელსაც იძლევა ფაკულტეტი. ამსთანავე
თუ თქვენ, მაგალითათ, ისურვეთ ფიზიკის და ფიზიკური ქიმიის
შესწავლას, უნდა იცოდეთ უმაღლეს მათემატიკის ელემენტებიც:
ანალიტიკური გეომეტრია და სსზოგადოთ დიფერენციალური და
ინტეგრალური ანგარიში; ამისთვის უნივერსიტეტში ერთი წლის
განმავლობაში მათემატიკის ცალკე მოსამზადებელ ლექციებს კითხუ-
ლობენ. ასე რომ ეს სკოლა და ეს მათემატიკის ლექციები უნი-
ვერსიტეტში სსკამარისათ მოგამზადებთ სსშერმისო სერიოზულ
შრომისათვის. ფაკულტეტის ბიოლოგიურ დარგის შეცნიერების
ჩინებულ დამატებათ უნდა ჩაითვალოს არსებული ევოლუციონური
ლაბორატორია (laboratoire de l'évolution des êtres or-
ganisés), სსდაც დაწვრილებით მარტავენ ევოლუციონურ მოძღვრე-
ბას და ანობენ მის თანამედროვე მდგომარეობას.

ამ ინსტიტუტშივე არსებობს სსზოგადო ემბრიოლოგიის ლაბო-
რატორია, სსდაც თქვენ სსუვეთესო სსფერანგეთის ბიოლოგების ხელ-
მძღვანელობით შეითვისებთ თანამედროვე ბიოლოგიურ ტენიკას;

*) ფაკულტეტს აქვს ორგვარი ლაბორატორიები: les laboratoires
d'enseignements და les laboratoires des recherches scientifiques.
ბირველ გვარის ლაბორატორიები მათთვისაა, ვინც იწეებენ სწავლას და მე-
ორე გვარის კი — დოქტორანტებისთვის, მარა არა დოქტორანტებსაც შეუძ-
ლიათ იმუშავონ შიგ.

ურთმდისთ თქვენ ვერ შესძლებთ უბრალო სამეცნიერო ფაქტის გამომჟღავნებას.

ორი-ოდე სიტყვა საზოგადოთ აჭურ უნივერსიტეტზე. სხვა ქვეყნის უნივერსიტეტებთან შედარებით აქ ის გაავიწყობთ თქვენ, რომ აჭური აუდიტორიები, ლაბორატორიები და კონფერანსები მუდამ სუსტია ხდებიან. რატომ ეს? ეს იმიტომ, რომ აჭური უნივერსიტეტი წმინდა ტაძრის მეცნიერებისა და არა ქარხანა მხეველების მისამართებლათ, აჭური ზნეობის ნამდვილი ქერუმი არაინ მეცნიერებისა და არა უფერული, უფრ მოჭრილი მხეველი. ამასთანავე აჭური უნივერსიტეტი არ გადაუქცევიათ ასწავლათ საზოგადოებაში დაგუბებულ გრძობების კადმოსახეფათ, იმიტომ რომ ამ გრძობებს აქვს ფართო საზოგადო ნიადაგი საწავარდთ. სტუდენტების ყოველ ვარი საზოგადო მისწრაფებანი ზოგადობენ დავაუფილებას უნივერსიტეტს გარეთ და უნივერსიტეტი, საზოგადო ზეტივისტებით გარემოცული, უმწიკველათ ასრულებს თავის დიდ მნიშვნელოვან მისიას: ემსახურება წმინდა მეცნიერებას და თავისი მეცნიერული ცხოველ-მყოფელი სხივებით ახათებს მუდამ მოძრა და მშვეთავ საზოგადო ცხოვრებას. ბედნიერია ის საზოგადოება, რომელსაც ასეთ ზნეობებში ჩაუყენებია მეცნიერება!

უნივერსიტეტში მისაღები პირობები ასეთია: ღებულდებენ ყველას, ქალი იყოს ის თუ გინდ კაცი, ვისაც კი აქვს საშუალო სასწავლებლის ატეტესტატი; რა ხასიათისა ეს სასწავლებელი, ამას მნიშვნელობა არა აქვს, თვინდ კი მისი ზნეობა უდრიდეს გიმნაზიის ზნეობას. ამასთანავე აუცილებლათ სჭირთა მეტრიკული მოწმობა, და თუ მცირე წლოვანი ხართ (ე. ი. 21 წლის ხაკლები), მაშინ მოგინდებთ ნება-რთვის საბუთი თქვენი მშობლებისაგან. მაგრამ, მგონი, ეს უცხოელებისთვის არ უნდა იყოს სავალდებულო.

რაც შეეხება გადასახადს: ჩაწერის დროსედ გადაგზდებთ 30 ფრანკი (droit d'immatriculation). ლაბორატორიებისთვის ცალკე გადასახადი იმის და მიხედვით, თუ რა ლაბორატორიაში ჩაეწერებით: l'aboratoire d'enseignement'-ში 100 ფრანკზე მეტი წელიწადში არ გადაგზდებთ. ამ ასს ფრანკს გადაგზდევინებენ ტრიმესტრებით, ე. ი. 25 ფრანკს ყოველ ორ თვეში. L'aboratoire des recherches'-ში კი წელიწადში გადაგზდებთ 500 ფრანკი 125 ფრანკი ყოველ ორ თვეში. ეგზამენებისთვის ცალკე გადასახადი, მგონი, 100 ფრანკი სავანში.

ამასთანავე ვგზავნიოთ „კვლის“ რედაქციაში უნივერსიტეტის და სხვა ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებლების ზნეობებს და დარიგებებს. მსურველთ უფრო დწვრილებითი ცნობებისათვის შეუძლიათ მიმართონ რედაქციას.

ა. გაბუნია.

რუსეთის ცხოვრება.

რუსეთის დეკემბრის საკენტი შემდეგს გადმოვიყვანო:

ამ ბოლო დროს ზოლტავის და ხარკოვის გუბერნიებში თვალსაჩინო უწესობანი მოხდა. საქმე ასე იყო: წარსულ მარტის შუა რიცხვებში ზოლტავის გუბერნიის კონსტანტინეგრადის მაზრის შემოქმედთა სამოსახლოებში გლეხთა ბრბობმა დაიწვეს სიარული. გლეხნი ამბობდენ, საკვები არა გვაქვს, და თხოვდობდენ, უსასიოდლოთ ზურს და საქანლისათვის საკვებს. ამავე დროს გამრავლდა ამ ადგილებში დამ-დამობით ქურდობა; იზარავდენ ზურს, კარტოფილს და თივას. მდე გლეხებმა თხოვნის ნაცვლათ მუქარასა და ძადადობას მიმართეს. სშირათ გლეხნი გაიძახდენ: „სულ ერთია, მდე ყველაფერი ჩვენი იქნება“; ამასთან იმუქრებოდენ, თუ უარს გვეტყვიოთ და არ მოგვცემთ, ძალით წავართმევთ. ყოველავე ეს მცირე მანძილზე მოხდა იმ შემოქმედთა ადგილებში, რომელნიც კონსტანტინეგრადის მაზრის სოფლებს მკისიოვკასა, ვარვაროვკასა, თვდაროვკასა და დისინიეშია. ამ უკანასკნელ სოფელში, როგორც აღმოჩნდა, იმყოფებოდა რამდენიმე კაცი, რომელნიც მანებებულ ზნეობასთან მიდევდენ. აღეკვება მცხოვრებთა შორის თანდათან ძლი-

ერდებოდა და, ბოლოს, 28 მარტს მოვიდა და-მუხობელ სოფლის გლეხთა დიდი ბრბო ურმებით მივიდა მის უმაღლესობის ჰერცოგის შეკლებურგ-სტრელიცის ერთ მამულში „კარდოვკის“ და მქვერით მამულის გამგეს წართვა ამბობის გასაღებებზე. გლეხნი მხედნიმე იფუთი კარტოფილი, და ამით ზოლტავისა და კონსტანტინეგრადის მაზრებში დაიწყო აშკარა უწესობანი: გლეხნი აშკრათ მთელი ქარავანი (სშირათ სამას-ათხას ურმისაგან შედგებოდა) თავს ესხმოდენ. შემომუქეთა და მდიდარ უახათა სახლებს, ამტრეკედენ ამბობის, სარდაფების და საკუჭხაების კლიტებს და მიქანდათ ზური, საკვები საქანლისათვის და სასოფლო-სამეურნეო იარაღი. სშირათ საქანელსაც მიერეკებოდენ. ზოგჯერ ამ მძარცველთა ბრბოდან მოიხმდა: „წაიდეოთ, ისე უნდა მოქცეთ, როგორც წიგნიში წერია; ყველაფერი ჩვენია“. — 30 მარტს ზოლტავის გუბერნატორი, რომელმაც საჭიროთ ცნო წესიერების აღსადგენათ საგანგებო დისინიეობათა მიღება, სამი ბატალიონის ქვეითა ჯარით იმ ადგილებში გაემართა, სადაც უწესობანი იყო, და 31-ს შეუდგა ამ უწესობათა მოხშობას; იგი მძარცველებს კვალ და კვალ მიდევდა. ჯარმა თუმცა სავამო შთახედილებს მოახდინა იმ სოფლებში, სადაც იდგა, მაგრამ ერთბაშათ წესიერების აღდგენა ვერ შეძლო სხვა ადგილებში, ამიტომ ზოლტავის გუბერნიის ორსავე მაზრაში ძარცვა-გლეჯა არ მოხშობიდა 31 მარტს: სხვათა შორის, კონსტანტინეგრადის მაზრაში გაძარცვეს მდიდარი ეკონომის ვაჭრის ვოლიკის, საიდანაც წაიღეს 20,000 ფუთი ზური. შემდეგ არეულობანი ზოლტავის მიუახლოვდენ. 1 აპრ. გლეხთა ბრბო დაესხა ქადაქიდან ათი ვერსის მანძილზე მდებარე ტრეპკეს წისქვილს სოფ. კოვალევკასთან. ზოლტავის ვიცე გუბერნატორის მიერ გაგზავნილი ქვეითი ჯარის ორი რატა მივიდა იქ იმ დროს, როდესაც გლეხნი ტრეპკეს მამულის აგლების შემდეგ უკან ბრუნდებოდენ. ერთბის უფროსმა, რომელიც რახმს ახლდა, დახატომრა ოცი კაცი; შემდეგ იგი გამოძიებს შეუდგა. ამ დროს კეტებითა და ორთითებით შეიარაღებულმა ბრბომ აერში მიიტანა და თუმცა შტაბს-კაპიტანი აფრთხილებდა ბრბოს, სროლას დაგიწევთო, გლეხებმა მაინც ქვეების სროლას და დინება დაუწყეს. ამის შემდეგ ჯარმა ბრბოს თოფები ესროლა. ბრბოდან ორი მოკლულ იქნა და შვიდი დაიჭრა. დაჭრილთაგან ერთი მოკვდა. სხვები სამიშრათ არ არიან დაჭრილნი. 2 აპრილს არეულობანი კონსტანტინეგრადის მაზრაში, ჯარის წააღობით, რომელსაც მიემატა ზოლტავიდან გაგზავნილი მეოთხე რაზმი, რამდენათმე მიწხარდა, თუმცა ზოლტავის მახლობლათ რამდენიმე სახლი მაინც გაძარცვულ იქნა. 3 აპრილს არეულობამ ხელ-ახლას იფეთქა კონსტანტინეგრადის მაზრაში, მაგრამ მნიშვნელობა არა ქანდა. შემდეგ არეულობანი ზოლტავის გუბერნიის სრულიათ მოხშობილ იქნენ. სულ ამ გუბერნიისში გაძარცვეს 54 სამოსახლო. 31 მარტს არეულობა ხარკოვის გუბერნიისში გადვიდა და მოკლო იქ ვოლკოვის მაზრას და რამდენიმეთ ბოგოდუხოვის მაზრასაც. ზოლტავიდან ხარკოვის გუბერნიისში გადასულმა არეულობამ უფრო ძლიერათ იფეთქა: გლეხნი არა ჯერდებოდენ ზურის მოტაცებას, იტაცებდენ ინვენტარსა, მიერეკებოდენ საქანელს, ხან მიქანდათ შინაური ავეჯიც, აიკლეს მათ რამდენიმე სახლი და ორს ცეცხლიც წაუკიდეს. ეს ამბები 31 მარტს სადამოთი აცნობენ ხარკოვის გუბერნატორს თავად ობოლენსკის, რომელიც ამას წინათ შეუდგა გუბერნიის მართვა-გამგებას, იმავე დამეს გუბერნატორი გაემართა იქ, სადაც არეულობანი იყო, თან წაიყვანა ერთი ბატალიონი ქვეითა ჯარი და ასი უახანი. 1 აპრილს დილით ჯარმა მძარცველნი ხას ინფანტერიის გენერლის თ. ზერკინის მამულში; წართვა მათ სადავლი, დასაჯა დამნაშავენი, 50 კაცი დახატომრა და თან წაიყვანა ის გლეხიც, რომელნიც ზოლტავის გუბერნიის მახლობელ ადგილებში ძარცვავდენ სახლებს. შემდეგ თავ. ობოლენსკიმ შეიტყო ვაჭრის მოდლოვის დიდი შაქრის ქარხნის გაძარცვის ამბავი, სოფ. ახალ-ივანოვსკოში ვოლკოვის მაზრაში, მაგრამ იქ მისვლა ჯარით მოკლოთ მაშინ მოასწრო, როდესაც უკვე დასმოდენ თავს. ამ ქარხნიდან გლეხებს წაეღოთ 30,000 ფუთამდე შაქარი და ყოველ-

კვარი ნივთები და ავეჯი, წყალთ ავრეთვე მანქანები და წყისთ 150 ხარი. ბრბო აქ იმ ზომადე მივიდა, რომ მივარდა ქარხნის საავადმყოფოს და მოიტაცა ათთაქიდან წამლები, ამასთან ავთმო- თებს ღოგინსაც ავლიდა. ამ დროს მოვიდა გუბერნატორი ეახსთა ზატარ რაზმით. მან შეიხერა ბუგრი მძარცველი, დასაჯა ისინი და წესიერება აღადგინა. თუმა ზირველსა და ორ აზრილს ხარკოვიდან სხვა და სხვა ადგილებში გაგზავნილმა ჯარმა თავის დროზე მისწრო მძარცველებს და შეახერა ისინი, მაგრამ მანც უველგან ვერ შეძლო მძარცველთა აღაგება: ზირველ აზრილს ბრბომ გაძარცვა შემხულე ქალის გავესკის სახლ-კარი და ცეცხლი წაუკიდა შენობებს. იმავე დღეს ბრბო თავს დაესხა მდიდარ სამოსახლეს ანტაქუზოვს; გა- ძარცვეს იქ აზრები, წაასხეს საქანელი და აიკლეს სიმდიდრე სახ- ლისა და წიგნთ-საცავი. შემხულის დუხოვისკის მამულში, ოსინოვში, გლეხებმა, დაიტაცეს რა მოძრავი ქანებს, დააქციეს სახლი და მ- სალა სახლას თან წაიღეს. ზირველ აზრილს საღამოთი მძარცველთა ბრბო მიუახლოვდა ქალაქ ვალკაში, ორ აზრილს ამ ქალაქის ქუჩებში გახდენ გლეხთა მოწინავე ჯგუფები, რომელნიც გასძარცვათ მიდი- ოდენ, მაგრამ გუბერნატორის მოსვლის შემდეგ, 2 აზრილს საღ- მითი, წესიერება აღდგინილ იქნა და დამნაშავენი დასჯილ იქნენ. ამით დასრულდა უწესოებისა ვოლკოვის მარაში. სულ ამ მარაში გა- ძარცვეს 25 შემხულის სახლ-კარი და ეკონომია; დაახლოებით ამ- დენივე მძარცველთა დროით იქნა შეხერბული. ამას გარდა ვოლ- კოვის მარაში მახლობლათ ბოგოდუხოვის მარაში გაძარცულ იქნა ორი სამოსახლო სოფელ რედეოვასა და ბლაგოდატნოში. დაქრენ ავრეთვე მირნის ხუტორსაც, მაგრამ იგი დროით იქნა გადარჩე- ნილი. ხარკოვის გუბერნატორის მხე მოქმედებასა და იმისმა ბრძ- ნებამ, რომ სასჯელი შეუმსუბუქებდათ იმათ, ვინც ნება-ყოფლობით დააბრუნებენ გაძარცულ საქანელსა, გონს მოიყვანა გლეხნი. არე- ულობის მოსზობის შემდეგ გლეხებს მიქანდათ სათემო გამკეობე- ში ნადავლი საქანელი დახარალებულთათვის დასაბრუნებლათ, ამას- თანავე იხანიებდენ, რისთვისაც განახეხებს ადგენდენ. დაუფლებლიც ძარცვა-გლეჯის დაწეებისავე როგორც ზოლტავის, ისე ხარკოვის გუბერნიებში, იქ, სადაც არეულობანი იყო, მივიდენ სამოსამართლო უწყების წარმომადგენელნი და შეუდგენ გამოძიებას. ამასთან ერთათ გამოძიებას შეუდგენ ჯანდარმთა განსაკუთრებულ კომისიის ოფიც- რები. ამ გამოძიებების დროს გამოირკვეა, რომ ზოლტავისა და კონ- სტანტინეგრადის მარაში,—სადაც ამ ბოლო დროს რამოდენსამე წელიწადს მოუსვლდა იყო, ხალხი გაჭირვებაში იმყოფებოდა,— ბინა დაიდო მთავრობის საწინააღმდეგო ბრძანებანდა, ავრცელებდენ წიგნაკებსა და გამოცემების მალროსიულ ენაზე. ამ წიგნაკებში საოფელთ იწვევდენ სასჯანებლათ მთავრობის წინააღმდეგ და მე- მხულეთა ქანების დასასაკუთრებლათ. ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ მართალი არ არის საზოგადოებაში გავრცელებული ხმა, ვითომ გლეხებმა აწვადეს ზოგიერთი შემხულე და ავრეთვე ვითომ მოსე- ლეთა განკარგულებით გლეხნი ჩასხულე იქმნენ. ამ უკანასკნელ ხმას საოფელათ უთუთთ ის დავა. რომ არეულობათა მოსახზობათ მო- ხელეი იხულებული შეიქმნენ რაზგით დაესჯათ აჯანყების მეთაურნი. ამ სასჯელმა შესთერა გავლენა იქნია გლეხებზე ამასთან საჭირო შეიქნა უფრო სასტიკი ზომების მიღება, სახელდობრ ისეთი ზო- მებისა, როგორიც მიღებულ იქნა სოფ. კოვალევკაში. აჯანყების ჩაქრბის დროს მოთავენი და უფრო დამნაშავენი შეხერბილ იქმნენ. დაბატობრებულ იქმნენ ავრეთვე ზოგიერთი ისინიც, ვინც მანე ზრმაგანდნ მისდევენ გლეხთა შორის. ზოლტავისა და ხარკოვის გუბერნიებში მშვიდობიანობა აღდგენალ იქნა: საოფიკრებლათ, რომ მიღებული ზომები უზრუნველ ყოფენ შემდეგისათვის წესიერებას.

— „ზრავიტ. ვესტიჟ“-ში დაბეჭდილია: 24 აზრილს საერო განათლების სამინისტროს ახალ მართველს დ. ს. ზენგერს წარუდ- გენ სამინისტროს მახელენა, რომელთაც მან შემდეგი სიტყვით მიმართა:

„შეუდგეი რა უმაღლესის ბრძანებით სამინისტროს მართვას,

დავინახე, რომ საერო განათლების სამინისტროს ცენტრალური უწ- ებანი გულ-მოდგინეთ მუშაობენ, რაც შემოწმებულიც იყო წინანდელ თქვენი ხელ-მძღვანელისა და უფროსის გენ.-ადიუტ. ვანოვსკის გამოსათხოვარ ბრძანებაში. ასეთი გაცხარებულ მუშაობას სამინის- ტროში ზირველათ არ წარმოებს. ჯერ კიდევ 1899 წელს აწ გარ- დაცვალებულმა საერო განათლების მინისტრმა ნ. ზ. ბოგოლეზოვმა გამოითხოვა უმაღლესი ნება-რთვა განსაკუთრებულ კომისიის დასა- ნიშნავათ, რომელსაც ყოველ-მხრივ უნდა გადაესინჯა ახლანდელ სა- შვალე სკოლის წეობილება, გამოერკვეა მისი ნაკლებუკანებისა და აღენიშნა მისი განსუძობესებელი დონის-ძიებანი. ბოგოლეზოვის ხელმძღვანელობით კომისიამ შეაგროვა და შეიმუშავა ძვირთასი მ- სალა, რომელიც 8 ტომთ დაბეჭდა. ეს მასლა საოფელათ დადო გომნაზიებისა და რადურ სასწავლებლების რეფორმის პროექტს, რომელიც შეადგინა მეორე კომისიამ ვავასიის სამოსწავლო ოქტის მზრუნველათ სამოფის გ. ზ. ანოვსკის თავმჯდომარეობით. 1901 წლის გაზაუხუდიდან საშვალე სკოლის რეფორმის მომზადებას ისევ შეუდგენ უმაღლესი რესკრიბტის თანახმათ, რომელიც გამოცხნდა და 1901 წ. 25 მარტს და რომლით გენ.-ადიუტ. ვანოვსკის დაეჯალა ამ საქმის სწრაფათ და ენერგიულათ წყევანა. საგანგებო კომისიამ ამავე წლის ივნისის შუა რიცხვებში დაამთავრა თავისი შრომა და შეიმუშავა საზოგადო ბროექტი საშვალე სკოლის რეფორმისა, სო- ლო 11 ივნისის ხელშეიფე იმპერატორმა კეთილ იხება და ნება დარ- თო, რომ საცდელათ ერთი წლით შეეტანათ ზოგიერთი ცვლილება საშვალე სკოლის პროგრამაში. ხსენებული საზოგადო ბროექტი იმავე წლის შემოდგომაზე ხელმეორეთ განიხილეს კომისიამ და სხვა-და-სხვა უწყებათა წარმომადგენლებმა, რის შემდეგ შეუდგენ სა- ბოლო და დაწვრილებით პროგრამის შედგენას ახალი საშვალე სკო- ლისათვის.

ამასდადე, სამინისტრომ, გენ.-ადიუტანტ ვანოვსკის მართვე- ლობის დროსაც, შეაგროვა და შეიმუშავა ისეთივე საურადლებო მასლა, როგორც ნ. ზ. ბოგოლეზოვის დროს.

ჩემი უქვეშევრდომილესი მოსხენების თანახმათ ხელშეიფე იმ- პერატორმა ნება დართო, რომ ბოგოლეზოვისა და გენ.-ადიუტ. ვა- ნოვსკის დროს შემუშავებული პროექტები გადასინჯათ იმ ორგა- ნობებს გადაეცეს, რომელთაც კანონის ძლით აქვთ დავალებული სას- წავლებლათ წეობილების პროგრამის საქმის განხილვა. ამის გამო, ახლო მომავალში ეველს აღნიშნული პროექტები სრულათ დამოუკი- დებლათ უნდა გაარჩიოს ჯერ სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტმა და შემდეგ საერო განათლების მინისტრის საბჭომ. მთვე გადაცე- მის განსხილველათ საშვალე სასწავლებლათ სახელავოკოია საბჭოე- ბის მოსახრებანი რეფორმის შესახებ და სამოსწავლო ოქტების აზ- რი დროებით წესების შედგვის შესახებ.

თუ მივიდეთ მხედველობაში, რომ წელს შესრულდება უმაღ- ლესათ შემოდებულ დროებით წესების ვადა, ნათლათ დავინახავთ, რამდენათ საჭიროა დაუოხნებლივ შევეცადოთ საშვალე სკოლის მოწ- ყობის დამთავრებას. მართალი რომ ვთქვათ, მომავალ წელშივე ის წეს-რიგი უნდა შემოვიდოთ, რომელიც კანონშია აღნიშნული. მაგ- რამ, თუ არ დავიფიქვებთ საშვალე სკოლის ქვანდელ ნამდვილ გარემოებათა მდგომარეობას, აუცილებულ საჭიროებათ ხდება დროე- ბითი წესები კიდევ ერთ წელს დარჩეს. ესეთი დროებითი განწეო- ბილება სკოლის იმდენათ უნდა განხორციელდეს, რომ, რაც შეიძ- ლება, ნაკლებ შეარყიეს წინანდელი ვლასსიგური წესი და ამასთანა- ვე დროებით წესებს არავითარი ზეგავლენა არ უნდა ქანდეს საშვა- ლე სკოლის განზრახულ რეფორმაზე.

რადგან სამინისტროს ნება არა აქვს კანონის მოთხოვნას თავის ნებით გადაუდგენ და ამასთანავე ტენსიურე დაბრკოლებაც ბუგრი აღმოჩნდა, ამიტომ მე უმაღლესი ბრძანება გამოვითხოვე; რომლის ძლით უნდა დაარსდეს კომისია შესაძლებელ რეფორმის დონის- ძიებათა შემუშავებისათვის, კომისიის მოსახრებანი ავრეთვე სამეცნიერო კომიტეტს და

სამინისტროს საბჭოს წარდგინებს განსხილველათ, იმ მოლოდინით, რომ ეს წესები განხორციელებულ იქნება მთავარ სამსახურულ წესს: უკვლავ მისაზრებანი მის უდიდებულესობას წარდგინებს. დემოკრატიკაში გვაშორებს ამ საქმეში შედიდურება და ცალ-მსრულობა, აგრეთვე დაგვიფარებს დემოკრატიკაში, რომ თავდაუკერპელ მხურბობას და ზეპირეულ მისწრაფებათ ავუყუთ. და დაუმორჩილოთ ჩვენი საქმეს მშვიდობიანათ და უშიშრათ აღვიაროთ ჩვენი წმენა. უფალი დემოკრატიკა, რომელიც მსაჯულთა ჩვენი სინდისის, და დაგვიმარებს ამ საქმის აღსრულებაში.

— სავსებო დაწესებულებაში სშირათ აღძრულა კითხვა იმის შესახებ, აქვთ თუ არა მისეულ ბირებთ უფლება აღუკრძალდნ გლეხებს დღესასწაულ დღეს მუშაობა. ახლა სენატმა იარემზეკვიჩის საქმის შესახებ შემდეგი განმარტა:

„ჭერ ერთი, არ არსებობს ისეთი კანონი, რომელიც ზღუდავდეს მცნობრებს დღესასწაულის კატარების შესახებ, კანონი მხოლოდ ანთავისუფლებს მას მუშაობისაგან, ესე იგი ამ კანონით აღკრძალულია ძაღდატანებით მუშაობა; ხოლო აქაც კანონი ირდევას სასახინო და საზოგადო მუშაობის დროს, რაც ამას მითხრავს უკიდურესი შემთხვევა. მეორეთ, თუ საზოგადო, და სხელკანონ-საქარნონ სამუშაოში კანონის ძალით სავადლებულთა მუშაობა უქმე დღესაც, რაც საჭიროება მითხრავს, მეტათ შეუსაბამო და მავნეტ იქნებოდა უქმე დღეებში ოჯახში და ეანებში მუშაობის აღკრძალვა, რაც ამ მუშაობის დროზე შესრულება სშირათ მეტათ საჭიროა. გლეხებს შეუძლიათ იმუშაონ უქმე დღეებშიაც; ხოლო არა ვინმეს ძაღდატანებით, არამედ თავის ნებით.

— წინეთ დიდი კატარებით ცდილობდნ შეკლებთან მეურნეობის გაძლიერებას, აშენებდნ ბაღებს, ბოსტნებს და სს. ახლა სამეურნეო ურნალი „Хозяинъ“-ი გადმოკვეცემს, რომ ნოვკორდის გუბერნიის ბერ ერობას არა სასურველათ მიუხედავად შეკლებთან მეურნეობის მწვეობა. იმათ აშკარათ დაინახეს, რომ ის ცოტადენი რამ, რასაც მიუმატებს მეურნეობა მსწავლებლის მტირედ ჯამაგირს, მეტათ ძვირათ უჯდება ხელს, რადგან მეურნეობის გაყოფამ გამოიწვია შეკლების ღირსებითათ დატემა. ამიტომ უმჯობესათ დაინახეს მსწავლებელს ჯამაგირი მიუმატონ და მისი ზირდაზირი საქმე არ შეაფერხებინ მეურნეობით კატარებით. სხვათა შორის ჩერებაკვიცის ერობამ გადაწვიტა გაუქმონ რამდენიმე წლის წინეთ მანდენალი დადგენილება, რომლის ძალით ეოველ შეკლას სასეგარნი დესატინა მიწა უნდა მიცემოდა. ერობის აზრით შეკლას მეურნეობა მიზანს ვერ აღწევს, ხოლო კანათლებლის საქმეს კი სავრძინებულათ აფერხებს.

თავისუფლება ნების თუ აუცილებლობა?
(დასასრული)

მიემართოთ ახლა ასეთ მაგალითებს: მე მსურს ეს გავაკეთო, მე მინდა აქ წავიდე, მე მინდა ეს ვიყიდო და სხვ. ამის მთქმელი ადამიანი ხშირათ აღწევს თავის მიზანს; მაშ მისი მოქმედება მის სურვილზე ყოფილა დამოკიდებული, რაც თავისუფალი ნების არსებობას მოწმობს! უნდა გავაფთხილოთ მკითხველი, რომ სიტყვებს ჩვენ ღრმათ უნდა ჩავუკვირდეთ ხოლმე, თორემ მათ ხშირათ შევყვართ შეცთობაში. ენა აღრე წამოდგა, მეცნიერება შემდეგ განვითარდა და ამიტომ ენაში ბევრა ისეთი მცნება, რაც მეცნიერების თვალში მხოლოდ ილუზიაა, თავის თავის მოტყუება. ასეთივე თავის თავის მოტყუებაა ადამიანის სხვა-და-სხვა სურვილების განხორციელებაში თავისუფალი ნების არსებობის დანახვა. გავსინჯოთ, რას ნიშნავს „მე მინდა“? რა არის საზოგადოთ ნდობა? ჩვენი მოქმედებების განხილვის დროს ერთი გარემოება დაგვაფიწყდა. როგორც ყოველგვარი ვარემე საგანი, ისე ყოველგვარი მოძრაობა იწვევს ადამიანში გრძნობელობას, გრძნობელობა გადაეცემა წარმოდგენის უჯრედებს, სადაც რჩება მოძრაობის

მკრთალი სახე. ამიტომ ჩვენ გონებაში სხვა წარმოდგენათა შორის არსებობენ ყველა იმ მოძრაობის წარმოდგენანიც, რომლებიც ჩვენ ჩავვიდენია, ან სხვას ჩაუდენია. დემოკრატიკაში ნახავს. ის გრძნობელობა, რომელიც ხშირათ გვაწვევს მოქმედებისაკენ, ყოველი ხელ-ახალი აღძვრის დროს, იწვევს უმაღლ მოძრაობით წარმოდგენას, ეს უკანასკნელი სხვა წარმოდგენათა შორის მონაწილეობას იღებს იდეათა ასოციაციაში და მას დიდი გავლენა აქვს ჩვენ მოქმედებაზე. ამის შემდეგ მივმართოთ უბრალო მაგალითს: მე მინდა თეატრში წავიდე. გავარჩიოთ ეს მაგალითი. განცხადებამ მაცნობა, რომ დღეს თეატრში წარმოდგენაა; დაწერილმა სიტყვებმა აღძრეს ჩემში გრძნობელობა, გრძნობელობამ გამოიწვია მსმენელობითი წარმოდგენანი, ამათ კი შესაფერი საგნების წარმოდგენა; ყველა ამათ გამოიწვიეს ჩემში მოძრაობითი წარმოდგენა: მე მომაგონდა, რომ ისეთი განცხადებების შემდეგ წავსულვარ, ბილეთი მიყიდია და წარმოდგენას დავსწრებივარ. თუ მოძრაობის წარმოდგენა იმდენათ ძლიერი ჩემში, რომ ის ისწრაფის გადაეცეს? მოძრაობის უჯრედებს და გამოიწვიოს ჩემში შესაფერი მოქმედება, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ იდეათა ასოციაციაში ამ მოქმედებას არც ერთი მარტივი არ ეწინააღმდეგება და ყველა წარმოდგენა გაძლიერებულ გაღიზიანებას გადაეცემს მოძრაობითი წარმოდგენის უჯრედებს, ესენი კი მოძრაობის ნერვებისა და უჯრედების გაღიზიანებით გამოიწვევენ ჩემ მოქმედებას. ჩემი სიტყვები ამ შემთხვევაში „მე მინდა თეატრში წავიდე“ მხოლოდ უბრალო სახელია იმ აუცილებელი პროცესის ჩემ შემეცნებაში, რომელსაც გარედან აღძრული გრძნობელობა იწვევს. ავიღოთ ახლა ასეთი მაგალითი: „მე მინდა თეატრში წავილა, მაგრამ ამხანაგს პირობა მივეცი და მას უნდა ვესტუმრო“. ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ჩემს შემეცნებაში ამ დროს იდეათა ორგვარი ასოციაციაა: ერთი მიწვევს თეატრში წასასვლელათ, მეორე მას ეწინააღმდეგება და მიჩვევს მიცემული სიტყვის ასრულებას; ამ ორ ასოციაციაში რომელიც დაძლევს მეორეს, იმაზე იქნება ჩემი მოქმედებაც დამოკიდებული. თუ პირველმა ასოციაციამ ძლია, ის გამოიწვევს შესაფერ მოძრაობით წარმოდგენას, ეს კი გაღიზიანებს შესაფერ მოძრაობის ნერვებსა და უჯრედებს და გამოიწვევს ჩემ მოქმედებას—თეატრში წასვლას. თუ მეორე ასოციაციამ ძლია, მაშინ ჩემში აღდგება ის მოძრაობითი წარმოდგენა, რომელიც ამ ასოციაციასთან არის შეერთებული და არა ის, რომელიც პირველ ასოციაციასთან მეორდებოდა: მე წაყალ ამხანაგთან და არა თეატრში. ამ შემთხვევაში ჩემი მოქმედება მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ნდობა სიტყვის ასრულებისა ჩემში უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ნდობა თეატრში წასვლისა. ამ მაგალითებიდან, მე გგონია, აშკარაა, რომ ნდობა არის მხოლოდ ის წარმოდგენა ან გრძნობელობა, რომლებიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ყველა სხვა წარმოდგენებზე და გრძნობელობებზე ძლიერი არიან: ნდობა ზოგიერთ შემთხვევაში ყველაზე ძლიერი წარმოდგენაა, ზოგიერთში ყველაზე ძლიერი გრძნობელობა: მაგალითათ როდესაც მე ვარდს ვხედავ და მისი მოწყვეტის სურვილი მებადება, აქ მხოლოდ ძლიერი გრძნობელობა იწვევს ჩემ მოქმედებას და ეს გრძნობელობა წარმოდგენს ამ ემათ ჩემ ნდობას. ყოველი წარმოდგენა და გრძნობელობა აუცილებელი კანონების ნაყოფია, ისინი აუცილებლათ იწვევენ ჩვენს ამა თუ იმ მოქმედებას და ამიტომ ჩვენი ნდობა თავისუფალი ნების მოწამე კი არ არის, არამედ აუცილებლობის: როდესაც ვინმე ამბობს: მე მინდა ესა და ესო, ამითი ის მხოლოდ თავისი შემეცნების აუცილებელ მდგომარეობას და მოქმედების აუცილებლობას აღიარებს.

რა ღრმათაც უნდა დარწმუნდეს მკითხველი იმ დასკვნა-

ში, რომელიც მთელი ამ წერილიდან გამომდინარეობს, ის ზოგიერთ შემთხვევაში მანც თავიდან ვერ მოიშორებს იმ ილუზიას, რომ მისი მოქმედება რაღაც ნებას ემორჩილება და არა აუცილებლობას. რა იწვევს ამ ილუზიას ჩვენში ყოველი მოქმედება რეფლექსისაგან მით განირჩევა, რომ მეორე სწრაფათ მიღვეს გაღიზიანებას, პირველი კი არა. თქვენ გიწვევს რაიმე მოქმედებისაკენ მიღებული გრძობელობა, მაგრამ სანამ თქვენ მას უკან გაყვებოდეთ, თქვენ შემეცნებაში სხვა-დასხვა წარმოდგენანი იღვძებენ, ესენი ხშირათ სხვა-და-სხვა ტანისა და სიცხოველის არიან, სხვა-და-სხვა ძალით არიან ერთმანეთთან შეკავშირებული და ამიტომ ისინი ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან ხშირათ,—ყოველივე ამაში დრო გადის და მოტივთა ბრძოლა ხანდახან თქვენში იმ აზრს იწვევს, რომ თქვენ შეგიძლიათ თქვენი სურვილი არ განახორციელოთ; ამას გარდა თქვენი საკუთარი „მე“-ს წარმოდგენა ყოველ შემთხვევაში თქვენი შემეცნების განუყოფელ ნაწილს შეადგენს; თქვენ ხედავთ, რომ აზროვნება, მოტივთა ბრძოლა, სურვილი თქვენს „მე“-ში იბადება; მე-ს წარმოდგენა ყოველ თქვენ მოქმედებას წინ უსწრებს და ამ ორი მიზეზის გამო თქვენში ის ილუზია იბადება, რომ მიზეზი მოქმედებისა თქვენი საკუთარი „მე“ იყო. ყოველ დღიურ ცხოვრებაშიც მარტო იმის მიხედვით, რომ ერთი მოვლენა უმალ მოხდა, მეორე კი შემდეგ, პირველ მოვლენას ხშირათ მეორის მიზეზათ ვოვლით, თუმცა ამათ შორას არავითარი სამიზეზო დამოკიდებულება არ არსებობს. რადგანაც „მე“-ს წარმოდგენას ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი თავისუფლების ილუზიის წარმოშობასა და განმტკიცებაში. მოკლეთ განვიხილოთ ეს წარმოდგენაც. პირველი შეხედვით ჩვენი საკუთარი „მე“-ს წარმოდგენა მარტივი და უბრალო წარმოდგენაა, ნამდვილათ კი ეს წარმოდგენა ფრად რთულია. უკეთ რომ ვთქვათ, ეს წარმოდგენა კი არა, მთელი იდეათა ასსოციაციაა. ეს ასსოციაცია დაბადებიდან მოყოლებული თანდათან ვითარდება ჩვენში სიკვდილამდე. მე-ს წარმოდგენა შედგება ორი ნაწილისაგან: ხორციელისაგან და სულიერისაგან. ახლათ დაბადებულ ბავშვს არავითარი თავისი მე-ს წარმოდგენა არა აქვს, ის თავის საკუთარ სხეულს და გარეშე საგნებს ერთმანეთში ვერ არჩევს. რაც დრო გადის, ბავში სხვა და სხვა გრძობელობას ღებულობს გარეშე ბუნების ზეგავლენით, ვითარდებიან მასში წარმოდგენის უჯრედები და ის ნელა-ნელა არჩევს თავის ფეხებს, ხელს, ტანს გარეშე საგნებისაგან, მაგრამ მას ამ დროსაც რომ არა აქვს მკაფიო წარმოდგენა თავისი საკუთარი ხორციელი მე-სი შემდეგი მაგალითიდან მტკიცდება: ორი წლის ბავში ძვირათ იტყვის: მე მინდა, მე მშია და სხვა, ამის მაგიერათ ის ამბობს: დათას შია, დათას უნდა და სხვა. ის სარკეში რამდენჯერაც უნდა ჩაახედოთ, ის ვერ იტყვის ვერც „მე ვარის“ ვერც დათა არის ის; ამ ხნის ბავშვს ჯერ არა აქვს თავისი მე-ს არავითარი წარმოდგენა, რაკ ერთხელვე მიჩვევა ბავში თავისი სხეულების ნაწილების გარჩევას გარეშე საგნებისაგან, მის შემეცნებაში თანდათან ირკვევა წარმოდგენა მისი ხორციელი მე-სი. ბავში იზრდება, მას აზროვნება უვითარდება, შემეცნება უფართოვდება; გარეშე საგნები და მოვლენანი მის გონებაში კვალს ტოვებენ, ის იმახსოვრებს ყოველივე ამას, თავის საკუთარ წარმოდგენებს, მხიარულებას, მწუხარებას, ერთი სიტყვით მთელ თავის წარსულს და აწმყოს; მას ებადება სხვა და სხვა სურვილი და მისწრაფებანი; ის გრძობს, რომ ყველა ეს აზროვნება მასში, მის საკუთარ არსებაში ხდება და ამგვარათ თავისი მე-ს მატერიალურ წარმოდგენას ის თანდათან უერთებს თავის სულიერი მე-ს წარმოდგენასაც. დიდ ადამიანში სულიერი მე-ს წარმოდგენა რასაკვირველია უფრო რთულია, მას შეადგენს ერთის მხრით ის წარმოდგენანი, რომლებიც მის შემეცნებას შედ-

გენენ ყოველ აღებულ დროს, მთელი მისი წარსული და მომავალიც იმდენათ, რამდენათაც მას შეუძლია თავისი მომავალიც მოქმედების წინდა წინვე გადაწყვეტა. შექნან მკითხველი ცხადათ ხედავს, რომ ჩვენი საკუთარი „მე“-ს წარმოდგენა არაა რჩება ერთი და იგივე: იცვლება მატერიალური მე, იცვლება სულიერი მეც; რადგანაც ყოველ დღე ჩვენი სხეულის ზოგი ნაწილი ცვთება, ზოგი ახლდება, ყოველ დღე სხვა და სხვა წარმოდგენებს ვიძენთ და ამიტომ ჩვენი „მე“ დღეს ის აღარ არის, რაც გუშინ იყო, ხვალ ის აღარ იქნება, რაც დღეს არის. მაგრამ უცვლელი რჩება სულიერი მეც ერთი ნაწილი: ჩვენი წარსული; მართალია ეს წარსული თანდათან ფართოვდება, რადგანაც მას აწმყო თანდათან ემატება, მაგრამ წარსულის ბევრი შთაბეჭდილებანი სიკვდილამდე ჩვენი შემეცნების განუყოფელი წევრები არიან, ეს გარემოება აერთებს მოხუცის „მე“-ს მისი სიბავშვის მე-სთან და ამგვარათ აერთიანებს მთელ მის მე-ს, როგორც წარსულში, ისე აწმყოში.

თავისუფალი ნების უარყოფით მე სრულებითაც არ ვუარყოფ მას, რომ ყოველი ადამიანი თავის მხრივ თავისუფალია, გააკეთოს ის, რაც მას უნდა. მე ვუარყოფ მხოლოდ მას, ვითომ ამა თუ იმ სურვილის დაბადება ადამიანში თავისუფალ ნებას ემორჩილებოდეს და არა აუცილებლობას. „ყოველი ადამიანი რომ თავისუფალია, მოიქმედოს ის, რაც მას უნდა (უნდა ვიგულისხმობთ, რომ არავითარი გარეგანი დაბრკოლება არ არსებობს),—ამის თანახმა ყველა იქნება; თუმცა ბუნდი წარმოდგენის პირს ასე ჰგონია, ვითომ ამას უარყოფდენ თავისუფალი ნების წინააღმდეგნი. ხოლო ყოველი ადამიანი რომ თავისუფალი იყოს, მოინდომოს ან არ მოინდომოს რამე (და აი სწორეთ ამ წინადადებას შეიცავს თავისუფალი ნების დოღმატი),—ამას უარყოფს შემეცნების ანალიზი“ *).

— ხნეობა, ბოროტ მოქმედება, დანაშაული, პასუხის გება! მაშ ყოველივე ეს უსაქმური კაცის მოგონილია? გვისაყვედურებს მკითხველი, რომელიც თავისუფალი ნების მომხრება. მე არ ვუარყოფ არც ხნეობას, არც ბოროტ მოქმედებას, ან დანაშაულს და მათთვის პასუხის გების საჭიროებასაც, ხოლო შემდეგი უნდა შევნიშო: ბოროტ მოქმედების იდეა და მისთვის პასუხის-გება თავისუფალ ნებაზე დამყარებული; თუ კი თავისუფალ ნებას გავავუქმებთ, ამით უქმდება ბოროტ მოქმედებაც, როგორც ფსიხოლოგიური მცნება და პასუხის გებაც; ადამიანის ყოველგვარი მოქმედება აუცილებელი მიზეზების ნაყოფია და კარგი საქციელი იმდენათვე აუცილებელია; როგორც ცუდი; ამიტომ ცხადია, რომ არც ერთი ადამიანი დამნაშავე არ არის თავის ბოროტ მოქმედებაში და პასუხის გებას ან დასჯას არავითარი ფსიხოლოგიური საფუძველი არა აქვს: საკვირველი იქნება ვინმე დასაჯოთ იმისთვის, რომ მას უშნო ცხვირი აქვს, განა ეს მისი ბრალია? ამდენათვე საკვირველი იქნებოდა ყოველი ბოროტ მოქმედის დასჯაც, — რადგანაც ფსიხოლოგიურის შეხედულებით კეთილი და ბოროტი არ არსებობს, ყოველგვარი საქციელი ერთნაირათ აუცილებელია მხოლოდ, — რომ ერთი გარემოება არ ერეოდეს აქ: ადამიანი წევრია საზოგადოებისა, მისი მოქმედება მარტო მას კი არ ეხება, არამედ სხვა წევრებსაც და ხშირათ მთელ საზოგადოებას. ამიტომ მისი მოქმედებანი ჩვენ უნდა გავინჯოთ და აკწონ-დავწონოთ არა მარტო ფსიხოლოგიურის მხრით, არამედ უმთავრესათ სოციალურის მხრით. საზოგადოებრივი ცხოვრება წარმოადგენს იმ გარეგან პირობებს, რომლებსაც უნდა შევგუოს ადამიანი, — ამას ითხოვს საზოგადო კეთილდღეობა; ასეთი შეგუება ადამიანის ფსიხიკაში იწვევს ცვლილებას. ხნეობრივი გრძობა სწორეთ ასეთი ცვლილების

*) Спенсеръ. Основ. психологiи I т. гл. 306. 97 წ.

კადაღის საკუთრებათ „ივერიის“ ამხანაგობის სედიში
ამხანაგობამ უფლება ამ გაზეთის გამოცემისა შეიძინა ნო-
ტარიუსის წესით დამტკიცებულ ხელ-შეკრულობით 6 აპრილს
1902 წ.

ამხანაგობაში მონაწილეობას იღებენ: თ. ამირჯიბი, როსებ
თადეოზის-ძე, დოქტორი ვაწაძე, სპირიდონ იოსების-ძე, დოქ-
ტორი გაბაშვილი, დიმიტრი გრიგოლის-ძე, დოდობერიძე, ნი-
კოლოზ ბესარიონის-ძე, გოგებაშვილი, იაკობ სვიმონის ძე,
გველიშვილი, გიორგი ივანეს-ძე, გუნცაძე, ირაკლი აღექსანდ-
რეს-ძე, თ. დიასამიძე, გრიგოლ ნიკოლოზის-ძე, ჯაბადარი,
ივანე სპირიდონის-ძე, მესხი, კონსტანტინე დავითის-ძე, მიქა-
ბერიძე, აღექსანდრე ნიკოლოზის-ძე, სარაჯიშვილი, აღექ-
სანდრე ივანეს-ძე, დოქტორი ჩიქოვანი, ყარაშან მანუჩარის-ძე
და ყიფშიძე, გრიგოლ თეოდორეს-ძე.

ამხანაგობის თანხა განსაზღვრულია 15,000 მან., განყო-
ფილი 1,500 ჰაით, 10 მან. თათო ჰაი.

ვისაც სურს შეიძინოს ჰაი, კეთილ-ინებოს და მიმართოს
„ივერიის“ რედაქციას, რომელიც ამ წლის 1 მაისიდან მო-
თავსებული იქნება სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის ქარ-
ვასლაში, №№ 117 და 118.

ამხანაგობის საზოგადო კრებაზედ ხმა აქვს მხოლოდ იმას,
ვინც შეიძენს არა ნაკლებ ათი ჰაისა.

რედაქციაში შეიძლება მსურველმა მიიღოს ეგზემპლარი
ხელ-შეკრულობისა.

თფილისის კერძო სამკურნალო
გ. გელაშანიშვილისა

(კუკია, ნიკოლოზის ქ., სახლი საგინაშვილისა, № 21).
ტელეფონი № 274.

ავათმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა:
დ ი ლ ი თ:

- ა. ი. ჭიჭინაძე — კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.
- მახვილ გუგუაშვილი — ნერვებისა და წამლობა ელექტრო-
ნით, 9—10 საათ., გარდა ხუთშაბ. და შაბათისა.
- ბ. ბ. ფედარაძე — შინაგანი და ბავშვებისა, 9—10.
- გ. გ. მაღალაშვილი — შინაგ. სამშ. და ხუთშ. 10—11.
- დ. დ. დამასიძე — შინაგ. 10—11, სამშაბათს და ხუთშა-
ბათს.
- ე. ე. მუდინი — ყურის, ყელისა და ცხვირისა, 11—12.
- ი. მ. ახალაშვილი — კბილის სნეულებანი, 10—12.
- კ. მ. ელიაშვილი — შინაგ. და ბავშ. 11—12.
- ლ. ა. გუგუაშვილი — ნერვებისა და შინაგ. 12—1.
- ს. ბ. ბარსუკაძე — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით,
ოთხშაბათით, და პარასკეობით, 12—1.
- ს. ა. ვაინო — ქირურგიული, ორშაბათობით, ოთხშაბათო-
ბით და შაბ. 1—2.
- ტ. მ. ამარდანიანი — სიფილისისა, კანისა და საშარდისი,
1—2.

ს ა დ ა მ ი თ ი:

- ი. ნ. თუმანიშვილი — დედათა სნეულებანი, 5—6.
- ს. გ. მაღალაშვილი — შინაგ. და ბავშვებისა. 5—6.

კ გ ი რ ა თ ი:

- გ. გ. მაღალაშვილი — შინაგან ავათმყოფ., 10—12.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები. ფასი რჩევა-დარი-
გებისა 50 კაპ., ოპერაციები და კრაოტები მოგებით. ერთი
კრაოტი ღარიბთათვის უფასოა. (წლ.)

ნაყოფია, — ის უწინარეს ყოვლისა სოციალური გრძობაა.
თუმცა ადამიანის ყოველგვარი მოქმედება აუცილებლობის
ნაყოფია, მაგრამ მიუხედავად ამისა საზოგადოება იძულებუ-
ლია კეთილდღეობის დასაცველათ ყოველ ეპოქაში გამოჩნდეს შე-
საფერი მცნებანი და დაავალოს თავის წევრებს ამ მცნებებით ხელ-
მძღვანელობა. დანაშაული, ბოროტმოქმედება და პასუხის გე-
ბა ასეთი სოციალური მცნებანი არიან; თუ ადამიანის ყოველ-
გვარი მოქმედება — კარგიცაა და ავიც, ერთნაირათ აუცილებე-
ლი არიან, ეს სოციალური მცნებანიც აუცილებელი არიან,
რადგანაც უამათოთ საზოგადოებრივ ცხოვრებას არა თუ არა-
ვითარი აზრი არ ექნებოდა, ის შეუძლებელიც იქნებოდა. სა-
ზოგადოებრივი ცხოვრება, რაგინდ განვითარებული იყოს ის
და სამართლიანი, პიროვნების მრავალგვარი შეზღუდვაა მაინც
და, თუ ასეთ შეზღუდვაზე ძალაუბნებურათ თანხმდება ყოველი
ჩვენგანი, მხოლოდ იმიტომ, რომ საზოგადოებამ უზრუნველ
ჰყოს მისი სიცოცხლე, მისი პიროვნება და მისი უფლებანი.
არც ერთი ადამიანი დამნაშავე არ არის თავის ბოროტ-მოქმე-
დებაში, მაგრამ საზოგადოებას მიუხედავად ამისა არ შეუძლია
ბოროტ-მოქმედების წინააღმდეგ ზომები არ მიიღოს, რადგან-
აც ყოველი ბოროტ-მოქმედება არღვევს საზოგადოებრივ კე-
თილ-დღეობას. საზოგადოებრივი ინტერესი აუცილებლათ ით-
ხოვს, რომ რაიმე გზით ალაგმულ იქნენ ის პირნი, რომლებიც
თავისი მოქმედებით მავნებელი არიან მთელი საზოგადოები-
სათვის; ამგვარ შემთხვევაში საზოგადოება იცავს მხოლოდ თავის
თავს, რაც მის სრულ უფლებას შეადგენს.

ამგვარათ, ადამიანის ყოველგვარი მოქმედება ბოროტათან
კეთილათ ხდება მხოლოდ საზოგადოებაში, მხოლოდ სოცია-
ლურის შეხედულებით და იმიტომ ზნეობის საზომით უნდა გა-
იზომონ კერძო პირის მხოლოდ ის მოქმედებანი, რომლებიც
რაიმე მხრით საზოგადოებას შეეხებიან. ადამიანს სრული უფ-
ლება აქვს, კერძოთ თავის თავს რაც უნდა ის დამართოს, რა-
დგანაც ყოველ ადამიანს მხოლოდ ერთი მძებნებელი ყავს —
საკუთარი „მე“ და იმის ისეთ მოქმედებებში, რომლებიც მხო-
ლოდ მის საკუთარ მე-ს შეეხებიან ზნეობრივი საზომი სრუ-
ლებით უაღარაა.

ამგვარათ, ჩვენ დავინახეთ, რომ აუცილებლობით გამო-
წვეული იდეათა ასოციაცია სათავეა კერძო ადამიანის ყო-
ველგვარი მოქმედების. შემდეგ წერილში ვეცდებით გამოვარ-
კვიოთ, თუ რა ამოქმედებს მთელ საზოგადოებას, ანუ რა შე-
ადგენს სათავეს საზოგადოებრივი ცხოვრებისას.

ი. გომარაძე

წერილი რედაქციის მიმართ.

ქ-ნა რედაქტორა! უმადნიდესათ ვთხოვთ მოგვეთ საშუა-
ლება, უკუვითადქსი მაღალბა გამოგვეხადათ თქვენი ზატეკ-ცემუ-
ლი გაზეთის საშუალებით ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებას, რომელ-
მაც ჩვენი თხოვნით გამოუგზავნა წელს ახლათ გასსნილ საკვირაო
სკალას 11 მანათის რეკლამები და კანანდაშები; ქ. ნადეჟდა ექვთიმეს
ასულს კალანდაშვილს, რომელმაც შეიძინა ამავე სკ. სკალას
სახელმძღვანელად წიგნები, შედგენილი საკვირაო სკალის შესწავ-
ლებელთაგან, სამი ტომი, ღირებული 3 მ.

ღანსხუთის საკვირაო სკალის მმართველი ბლადიმირი მდვდელი
ქაიფახე ჩხაიძე.

მასწავლებლები { კატო ფხაკაძე.
კატო კალანდარიშვილი
გ. ურატაძე

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.